

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძე

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

გიული დეკანაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ნაილე მიქელაძე,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ბიჭაური - 2019

ანოტაცია

ნაშრომში „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები“ საუბარია პოეტის მრწამსსა და იდეალებზე. პოეტის მსოფლმხედველობრივ ინტერესთა რკალი მეტად ფართოა, ხოლო მიზნთა მიზნში მისი სულიერი ტკივილისა, ეროვნულ სინამდვილესთან არის დაკავშირებული.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი მოტივები და მთელი მსოფლმხედველობა ქართულ ეროვნულ ნიადაგზეა დაფუძნებული. ეროვნული ჩაგვრის გამო აღძრული სევდა გამოსჭვივის მისი უბადო ლექსებიდან, თავისუფლების დაკარგული ტკივილით გაჟღერებულია მისი პოეტური სამყარო. ძნელია მოინახოს სტრიქონიც კი, სადაც მეტ-ნაკლები სიდიდით არ ისმოდეს მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათ-ორმოციანი წლების ქართველთა გულისტკივილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია მამულის სადიდებელი ლოცვა - ვედრებითაა გაჯერებული. პოეტი ადამიანის სულში ეძიებს ღვთიურ ძალას, ღვთის ხატებას, რომლის შემოქმედებითი ქვაკუთხედიცაა, ქრისტიანული სარწმუნოება. განსაკუთრებულია, ბარათაშვილის შემოქმედების ბიბლიასთან და ძველ ქართულ სასულიერო მწერლობასთან კაშირი.

თემა აქტუალურია. ნაშრომში შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ძირითადი მოტივები და თემატიკა, ეროვნული იდეალები, სახარებისეული სახე-სიმბოლოები და ლირიკოსი პოეტის სულიერი მდგომარეობა.

ვფიქრობთ, ნაშრომი საინტერესო იქნება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებით დაინტერესებულ პირთათვის.

Annotatin

The work "The main motives of Nikoloz Baratashvili's work" concerns to the poet's beliefs and ideals. The circle of the poet's world view interest is very broad, and the most significant reason of his spiritual pain is related to the national reality.

Nikoloz Baratashvili's creative motives and the whole world outlook are based on the soil of Georgian nationality. The melancholy, derived from the national oppression, is expressed in his poems; his poetic world is soaked by pain caused from the loss of freedom. It is difficult to find a single line in his poetry without the great pain and offence of Georgians in the thirties and forties of the nineteenth century.

Nikoloz Baratashvili's poetry is a gracious prayer inspired by devotion of motherland. The poet seeks the divine power of the human soul, the image of God, whose creative cornerstone is the Christian faith. The link of Baratashvili's creative work with the Bible and old Georgian theological writings is special.

The topic is relevant. The work represents the main motives and themes of Nikoloz Baratashvili's creative works as well as the national ideals, the symbols of the Gospel and the lyric poet's spiritual state.

We think the work will be interesting for the audience interested in Nikoloz Baratashvili's creative works.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5
თავი I. ეროვნული მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში(პოემა-„ბედი ქართლისა“, „ საფლავი მეფის ირაკლისა“, „მერანი“, „სუმბული და მწირი“, „ვპოვე ტაძარი“).....	10
თავი II. სახარებისეული სახე-სიმბოლოები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში.....	28
თავი III. მარტოობის განცდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში („სად განისვენოს , სულმა, სად მოიდრიკოს თავი“).....	41
თავი IV. რამდენიმე საკითხის გააზრებისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების მიხედვით.....	60
დასკვნა	66
გამოყენებული ლიტერატურა.....	68

შესავალი

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, დიდი ტრადიციების მქონე ლიტერატურის ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილს საპატიო ადგილი მიეკუთვნება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი არის ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა, რომელიც შეიქმნა მე-19 საუკუნეში, ქართველი ხალხის ისტორიის ახალ ვითარებაში.

რომანტიკოს პოეტ, ნიკოლოზ ბარათაშვილს, დიდი როლი ეკუთვნის ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. თავის შემოქმედებაში - „ბედი ქართლისა“, „საფლავი მეფის ირაკლისა“, და „მერანი“ არის ნიშან-სვეტი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა მე-19 საუკუნის საქართველოში (ინგოროყვა, 1975: 7).

ყველა დიდი პოეტის შთაგონების წყარო თავისი სამშობლოა. ლექსის როგორი ნოვატორი და ოსტატიც არ უნდა იყოს პოეტი, თუ მას არ აღეღვებს თავისი ხალხის ტანჯვა და სიხარული, თუ მისი გულის სიმები ეროვნულ ვნებათა ღელვას არ აუთრთოლებია, ხალხის ხსოვნაში ბინას ვერ დაიმკვიდრებს და დავინწყებას ვერ ასცდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი მოტივები და მთელი მსოფლმხედველობა ქართულ ეროვნულ ნიადაგზეა დაფუძნებული. ეროვნული ჩაგვრის გამო აღძრული სევდა გამოსჭვივის მისი უზადო ლექსებიდან, თავისუფლება დაკარგულ ტკივილს მწვავედ აღიქვამს პოეტი. მისი მემკვიდრეობიდან ძნელია მოინახოს სტრიქონიც კი, სადაც მეტ-ნაკლები სიდიდით არ ისმოდეს მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათ-ორმოციანი წლების ქართველის გულისტკივილი, ბედისადმი შეურიგებლობა, ძიება, ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის წყურვილი, რაც საფუძვლად უდევს მის შემოქმედებას. დიახ, ეროვნული ტკივილი მძაფრად არის გამოხატული მის შესანიშნავ პოეტურ ქმნილებებში, მის პატრიოტულ ლირიკაში „სამკვიდროს დაკარგვის

მოტივი კარგად არის გაცნობიერებული, როგორც ეპოქალური მნიშვნელობის კატასტროფა, როგორც ძველი საქართველოს ტრაგიკული დასასრული. ერთი სიტყვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი განსახიერება იმისა, რასაც დიდი ილია ჭავჭავაძე პოეტის მაღალ დანიშნულებად მიიჩნევს: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად, მენვოდეს მის ტანჯვით სული“.

უნმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. უსამშობლო ადამიანი სულით ლატაკია და საცოდავი. სამშობლოს სიყვარულით მნიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი გულწრფელობა და სიყვარული სხვა ერებისადმი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი, ის ხომ ვერც სხვას შეიყვარებს... და ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს სიყვარულს?! ამიტომ ბრძანა რაფიელ ერისთავმა: „სამშობლო - დედის ძუძუი, არ გაიცვლებს სხვაზედა..... როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა...“ (ილია II (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი),(სხვა საქართველო სად არის..., წიგნი მეორე, გამომცემლობა „ქართული“ 2017 : 1).

ას ორმოცდაათი წელია მას შემდეგ, რაც საქართველოს პოეზიის თანავარსკვლავედს ნიკოლოზ ბარათაშვილის მნათობი შეემატა. ტანჯვითა და ვაებით იყო აღსავსე ამ გენიალური ჭაბუკის ცხოვრება. სამი ათეული წელიც კი ვერ დაისრულა , ისე წავიდა ამ ქვეყნიდან. არც ბევრი დაუნერია - 38 ლექსი და ერთი პოემა, მოცულობით უბის წიგნაკშიც რომ ჩაეტევა. დაბეჭდილი ლექსების ხილვა სიცოცხლეში არც ღირსებია...

აქტიური რომანტიზმის წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი სწორედ იმის მაგალითია, რომ შემოქმედის მაღლი და ღვანლი მისი სტრიქონების რაოდენობით არ განიზომება. ქართველმა საზოგადოებრიობამ იმთავითვე თავდავიწყებით შეიყვარა ქართული სულის მესაიდუმლე პოეტი და ეს სიყვარული შთამომავლობიდან შთამომავლობას გადასცა ადრინდელზე უფრო გავრცობილი და გასპეტაკებული. ქართველი კაცი ყოველთვის არაჩვეულებრივი სიყვარულით, სინაზითა და სიამაყით წარმოთქვამს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელს და წარმოუდგება ფიზიკურად სუსტი,

ქერა ჭაბუკი, რომელსაც შინაგანი პოეტური წვის ტიტანური ძალა ვერ დაუოკებია და თავის ერთგულ მერანს მიაქროლებს, რომ ფიქრი მისი შავად მღელვარი ნიავს გაატანოს და თანამავალ-ვარსკვლავთ ამცნოს გულის საიდუმლო...(სურგულაძე, 1968: 5).

ბუნებრივია ისმება კითხვა. რით უნდა ავხსანათ ქართველი ხალხის ასეთი დიდი სიყვარული ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, მისი სახელის ასეთი გაცისკროვნებული შარავანდელი?

ქართული რომანტიზმი ევროპულ რომანტიზმს მსოფლიო განცდის ხასიათით, ელფეგური ინტონაციით, ბუნების „სენტიმენტალური“ განცდით, სიყვარულის უაღრესად დახვეწილი და ამალღებული ხოტბით, იდეალისა და სინამდვილის ურთიერთდაპირისპირებითა და სხვა რომანტიკული მოტივებით ენათესავება, მაგრამ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით იშვიათ ორიგინალობასა და დამოუკიდებლობას ამჟღავნებს. „მსოფლიო სევდის განწყობილებები მის პოეზიაში უაღრესად მძაფრადაა გამოვლენილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მთავარ დამსახურებად ქართულ ლიტერატურაში ზოგადსაკაცობრიო იდეალების აღძვრა, „მსოფლიო სევდის“ მოტივების შემოტანა და დანერგვაა. დასავლეთის რომანტიკული პოეზიის ვარსკვლავების - ბაირონის, შელის, ლამარტინის მიუსეს, მიცკევიჩის გვერდით მორიდებით მოვიხსენიებთ ბარათაშვილის სახელს და გვეამაყება, პოეზიის ამ ტიტანთა კეთილისმყოფელი გავლენით ბარათაშვილმა ქართული ლიტერატურა მსოფლიო არენაზე გაიტანა. ნიკოლოზ ბარათაშვილის სულიერი განწყობილება სრულიადაც არ ყოფილა იმ დროის მოდური ლიტერატურული მიმდინარეობის გავლენის შედეგი. ეს განწყობილება მას ქართული კონკრეტული ისტორიული ვითარების საფუძველზე შეუმუშავდა; ქართველი ხალხის ისტორიული ბედი მთავარი არსი იყო მისი შემოქმედებისა. ცარიზმის უხეში კოლონიური ჩაგვრისაგან გათავისუფლებული საქართველო წარმოადგენდა პოეტის განუწყვეტელი ზრუნვის, ფიქრისა და სევდის საგანს სამშობლოს ეროვნული თავისუფლების კეთილშობილურ ოცნებას უზიარებდა იგი მობუტბუტე მტკვარს თუ მთაწმინდის კალთებს, ხალხის მჩაგვრელი უცხო ძალა იყო „სული ბოროტი“, ერის

თვითშემეცნების გამოფხიზლების, საბრძლო შემართების მოთავე ძალთა სიმეჩხრესა და დაურაზმობაში გრძნობდა „სულით ობლობას“. მაგრამ პოეტს მტკიცედ სწამდა საქართველოს მომავალი და უარყოფდა ბედისადმი ბრმა მორჩილებას, საქვეყნო საზრუნავი მოვალეობად მიაჩნდა და ოცნებობდა ისეთი კვალი დაეტოვებინა, რომ მისგან თელილ გზაზე უშიშრად ევლო შთამომავლობას(სურგულაძე, 1968:7).

მართლაც, „ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო წმინდა სანთელი, რომელიც საქართველოს სიყვარულით ინვოდა“. მისი პოეტური მსოფლმხედველობის საფუძველს და ამოსავალს ეროვნული საკითხი წარმოადგენდა. მაგრამ მან შეძლო ეს ეროვნულ-პატრიოტული საკითხი ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან შეესისხლხორცებინა და ამით თავისი შემოქმედებაც მსოფლიოს პოეზიის მწვერვალზე აეყვანა, მის პოზიციაში კერძო განზოგადებულია, ქართველი კაცის გულისტკივილი მსოფლიოს სატკივარის შემადგენელ ნაწილად გვევლინება. დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ბარათაშვილმა „ჩვენ გულთა თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხდა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაანათა“. ნ. ბარათაშვილი არა ევროპულ მწერალთა ზეგავლენით შეთვისებული მზა ლიტერატურული მეთოდით მოვიდა ქართულ სინამდვილესთან, არამედ ქართული სინამდვილიდან ამაღლდა მსოფლიოს პოეზიის ოლიმპომდე და მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი იმათ შორის, ვინც კაცობრიობის გულისტკივილის გამოხატვის უბადლო ოსტატად არის აღიარებული და მსოფლიოს ცივილიზაციის მშვენიერებას წარმოადგენს.

ამ დიდი დამსახურების გამო ნიკოლოზ ბარათაშვილი შთამომავლობამ ეროვნულ გენიად აღიარა და რუსთაველის გვერდით დაუმკვიდრა ადგილი“.

ყოველივე ზემოთქმული თავისთავად მიგვანიშნებს, თუ სად უნდა ვეძიოთ გასაღები ბარათაშვილის მსოფლმხედველობისა, რაში უნდა დავინახოთ მისი გულისტკივილისა და სულიერი შფოთვის მიზეზი, რომელი პოეტის თანამედროვე ქართულ ცხოვრებაშია ჩამარხული. ბარათაშვილის გაგებას შეძლებს ის, ვისაც გაუაზრებია XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორია.

ნაშრომის მიზანია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება, მწერლის მხატვრული სტილის, მის შემოქმედებაში სახე-სიმბოლოების, ეროვნული თვითმყოფადობის კვლევა. ასევე მეცნიერული სიღრმით გამორჩეულ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ყურადღება გავამახახვილოთ და ვაჩვენოთ ის დიდი ეროვნული როლი, რომელსაც ლირიკოსი პოეტის სალიტერატურო შემოქმედება ასრულებს.

კვლევის ობიექტია, როგორც პოეტის შემოქმედება, ასევე პირადი წერილებისა და სხვა მასალათა შესწავლა და კვლევა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლეს წარმოადგენს, ის რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება არაერთი მეცნიერისა და მკვლევრის შესწავლის საგანი გამხდარა, თუმცა იმ მხრივ, რა მხრივაც (ახლებური ხედვით) ჩვენ გვაქვს კვლევა წარმოდგენილი, ვფიქრობთ, ამ ფორმით მისი პოეზია ნაკლებადაა შესწავლილი.

ნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებები და შეხედულებები კრიტიკულადაა განხილული, რის საფუძველძეც მიღებულია კონკრეტული დასკვნები, რომლებიც ემყარება თანამდეროვე მკვლევართა შეხედულებებს. სამაგისტრო ნაშრომში დანვრილებითაა შესწავლილი და შეფასებული საკითხზე გამოქვეყნებული ყველა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია.

წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, ეს და სხვა საკითხები ვაქციეთ მეცნიერულ კვლევის საგნად.

თავი I. ეროვნული მოტივი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში
(პოემა „ბედი ქართლისა“, „სათლავი მეფის ირაკლისა“,
„მერანი“, „სუმბული და მწირი“, „ვპოვე ტაძარი“)

საქართველოს ვრცელი ისტორიიდან XVIII-XIX საუკუნის მიჯნა და XIX საუკუნის პირველი ნახევარი, განსაკუთრებით, ქართველი ხალხი მტრული აგრესიული მუსლიმანური გარემოცვის გასარღვევად . „ბაბრისა“ და ფოცხვერის“ კლანჭებიდან სამშობლოს გამოსახსნელად, მაგრამ გამოხსნა - აღდგომა საკუთარი ძალებით ვერ მოხერხდა, რადგან ვერ მოელო ბოლო შინაგან ეროვნული სხეულის დანაწევრებას. ამას გამოდგა მეფე ერეკლე მეორის ყველა ღონისძიება ამ მიმართულებით. ურთულესი პერიოდი საქართველოს ისტორიული ძნელბედობისა იყო 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა. მოხუცი ერეკლეს მემკვიდრეებმა ურთიერთქიშპობის გამო ქვეყანაში შფოთი და არეულობა კიდევ უფრო გააღრმავეს. ქვეყნის შინაგანი სისუსტით ისარგებლა რუსეთის ცარიზმა და 1783 წელს აღიარებული საქართველოს მფარველობა ანექსიით შეცვალა. XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველო შევიდა რუსეთის მფარველობაში. ეს იყო მაშინ ერთადერთი ქვეყნის გადარჩენისა და ობიექტურად პროგრესული აქტი ერის ცხოვრებაში. მაგრამ დიდ ისტორიულ ქართველს თან მოჰყვა დიდი ვნებათა ღელვა და მოძრაობანი: ცარიზმის სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმს ვერც ქართული ფეოდალური დიდკაცობა შეეგუა და ვერც გლეხობა. საქართველოს ჩაგვრის ახალი უღელი დაედო..(ეროვნული მოტივები) 1802 წლი თავადურმა შეთქმულებამ, 1804 წლის მთიულეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის, 1841 წლის გურიის, 1856 წლის სამეგრელოს აჯანყებამ, რომლებშიც თავიანთი კლასობრივი პოზიციებიდან თითქმის ქვეყნის ყველა წოდება მონაწილეობდა, ქარბორბალასავით გადაუარა საქართველოს (სურგულაძე, 1968: 8). ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში დიდი განცდითა და ემოციებით არის გადმოცემული თავისუფლებადაკარგული ქართველი ხალხის გულსტკივილი. მისი ოჯახი საქართველოს ისტორიის მოვლენებთან სისხლითა და ხორციით იყვნენ დაკავშირებული. მამამისი მელიტონი- ძირძველი ქართველი თავადი, ახალი რეჟიმის

დამკვიდრებისთანავე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდა, პოეტის დედა ეფემია საქართველოს სამეფო ოჯახის შთამომავალი იყო და სულის სიღრმეში მტკივნეულად განიცდიდა ბაგრატიონთა დინასტიის ტრაგედიას. პოეტის გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, დიმიტრი ყიფიანი, ზ. ავთანდილოვი და სხვ. იყვნენ აქტიური მონაწილენი 1832 წლის შეთქმულებისა, ხოლო შეთქმულების სული და გული, მისი ყველაზე რადიკალური ფრთის მესვეური სოლომონ დოდაშვილი პოეტის უშუალო მასწავლებელი იყო. „ნიკოლოზი ბავშვობიდანვე, ოჯახშიც და სკოლაშიც, იმ წრეში ტრიალებდა, სადაც საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ყველა აქტს მტკივნეულად განიცდიდნენ და ეხმარებოდნენ, სადაც საქართველოს ბედი და მომავალი ღვიძლ საქმედ ნიკოლოზ ბარათაშვილი მიაჩნდათ და ეროვნული საქმისათვის ბრძოლა და თავგანწირვა მამულიშვილობისა და ვაჟკაცობის სინონიმს წარმოადგენდა(სურგულაძე, 1968: 9).

ამ გარემოში ნიკოლოზს მტკიცედ გამოუმუშავდა მშობლიური ქვეყნის ანმეოსა და მომავლისადმი ღრმა პასუხისმგებლობის გრძობა. როგორც თანამედროვენი გადმოგვცემენ, ჯერ კიდევ გიმნაზიის წლებში ფიქრობდა პოეტი ქართლის ბედზე. მის მაღალ ოცნებებს არწივის ფრთები სჭირდებოდა. მაგრამ ცხოვრებამ ფრთები შეუკვეცა: ხელმოკლეობის გამო პოეტმა ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება პეტერბურგში ფიზიკურმა ტრავმამ კი დაუხშო გზა სამხედრო კარიერისა, რომელსაც ასე თავდავიწყებით ეტანებოდა მისი ტოლი ახალგაზრდობა; ასე რომ, გოლიათური ენერჯის ჭაბუკი, გველვეშაპისათვის თავის მოკვეთას და მშობლიური ხალხისათვის სიცოცხლის წყაროს გათავისუფლებას რომ ამზადებდა და მზისა და ვარსკვლავებისაკენ ისწრაფოდა, მიჯაჭვული აღმოჩნდა მთავრობის რიგითი მოხელის მაგიდასთან და საკუთარი მაღალი ხვედრის შემოაღამდა, მშობლიური ქვეყნიდან გადახვეწილს უცხო მხარეში.

ცხოვრების სარბიელზე ხელმოცარული, ფრთაშეკვეცილი, განმარტოებული ჭაბუკის სული აუმხედრდა „სოფლის ამაოების გამოხატულებაა მისი „ფიქრნი მტკვრის პირას „ და „შემოღამება მთანმინდაზედ“, მისი „სულო ბოროტო“ და „მერანი“- შედეგრი პოეზიისაა და უბადლო ნიმუში ბედისწერასთან შერკინებისა. საქართველოს

მშფოთვარე მათიანეა მხატვრულ ენაზე ამეტყველებული მისი „ბედი ქართლისა“ და საფლავი მეფის ირაკლისა“, „სუმბული და მწირი“, „ვპოვე ტაძარი“, ...ამ შედეგებში ბარათაშვილი გვევლინება 30-40-იანი წლების საქართველოს „ფიქრთა მპყრობლად“, რომელიც არა მარტო ზუსტად ასახავს წინააღმდეგობებით და ვნებათა ღელვით აღსავსე თანამედროვეობას, არამედ მომავალ თაობას უჩვენებს წინსვლის მიმართულებას. ქართველი ხალხის ისტორიის ღრმა ანალიზის საფუძველზე ბარათაშვილმა დაასახუთა და განაზოგადა ქართველი ხალხის მიერ არჩეული პოლიტიკური ორიენტაციის სისწორე და ახალი საქართველოს მომავალი აზიურ-ბარბაროსული სამყაროდან იზოლირებასა და რუსეთთან თანაცხოვრებაში დაინახა („ბედი ქართლისა“)(სურგულაძე, 1968: 8).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ ახალი ქართული პოემის ერთ-ერთი უდიადესი ნაწარმოებია. პოემის შესავალი სადღეგრძელოს შთაბეჭდილებასაც ტოვებს, რომელშიც პოეტი ერთურთს უკავშირებს ძველ და ახალ ქართველებს, „მამულს“ ღვინით სავსე თასში მოაქცევს მოლხინე, წინაპართა მადიდებელ კახელებს, თვით წინაპრებსა და საკუთარ თავსაც. იგი ჩვენი ქვეყნის წარსულის იმ მომენტს შეეხება, რომელმაც რადიკალურად შეცვალა მისი მომავალი და საუკუნეების მანძილზე თვითმყოფადობისთვის მებრძოლი ხალხი უცხო ძალის ტვირთშიმე უღელქვეშ მოაქცია. პატარა ერის ყოფნა-არყოფნის პრობლემა, ფიზიკური გადარჩენის სამსხვრეპლოზე სულიერი განძის მიტანის გამო აღძრული ტკივილი ნაწარმოებში ზოგადასაკაცობრიო, ყველა ერისა და ყველა დროისთვის აქტუალურ მნიშვნელობას იძენს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის რწმენით, მეფისაგან მამულისთვის დაღვრილი ცრემლი დიდი შესაწირია ღვთის წინაშე. პოემა იწყება მაცხოვრის ხატის წინ დაჩოქილი, თვალცრემლიანი ერეკლე მეფის, ვედრებით უფლისადმი, რომ გადაარჩინოს ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა:

“მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს

შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!”(ბარათაშვილი,1981:90).

თავდადების, ვაჟკაცობის, გაუტეხლობის საოცარ ნიმუშს აძლევს მამულისათვის ბრძოლაში დამაშვრალი მეფე-პატრონი კრწანისის ველზე ალა-მაჰმად ხანთან საომრად შეკრებილ მებრძოლებს, როცა მიმართავს:

„საქართველოს დღეს გარდაუნყდება
თავისი ბედი და უბედობა!...
...დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“ (იქვე, 90).

პოემაში საგანგებოდაა გამოკვეთილი ქართველ მხედართა განსაცვიფრებელი ერთსულოვნება, მამულისათვის თავდადების სურვილი თვალშისაცემია მათი დიდი სიყვარული და მონივნება პატარა ვახის მიმართ, მზადყოფნა, თვალის დაუხამხამებლად გასწირონ თავი ნიშნად მისი ერთგულებისა. ერთსულ და ერთ ხორც შეკავშირებული, ერთი ძაფით ნაქსოვი სამწყსოს პატრიოტული გულისთქმა ამოიკითხება ჯარის ერთსულოვან შებლაგვლებაში:

“ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,
ოღონდ შენ იყავ, მეფევე, დღეგრძელი!” (ბარათაშვილი, 1981:91).

ნიკოლოზ ბარათაშვილი შთამბეჭდავად აღწერს ქართველთა ლაშქრის არნახულ შემართებას, მხნეობას, „ჭირსა შიგან გამაგრებას“, ქედუხრელობას. სამშობლოს საკურთხეველზე დაღვრილი სისხლი ნიკოლოზ ბარათაშვილს წმიდათაწმიდა მსხვერპლად მიაჩნია. მისი ღრმა რწმენით, გმირთა სიმამაცე და თავდადება საუკუნოდ აღიბეჭდა ქართველთა ხსოვნაშ, ხოლო ის:

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის!“ (ბარათაშვილი, 1954:67).

პოემაში უდიდესი ტკივილითაა აღბეჭდილი ლალატის დამლუპველი შედეგი. მაშინ როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მოპოვებული განსაცვიფრებელი გამარჯვებით ბედნიერი სამი დღის ამაო იერიშის შემდეგ ალყის მოხსნა გადანყვიტა, მოლალატემ მტერს ქართველთა ლაშქრის სიმცირე ამცნო „და მუხთალისა ანგართა ხელთა აჰყარეს მამუ ადარებსლს სიმტკიცის ბჭენი! მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!“

პოეტის აზრით, ყოველი მოღალატე იუდაა კაცთა და უფლის თვალში. „მაგრამ იუდა უამს ეძიებდა!“ და, მართლაც, ბრძოლის ბედი ამ ლალატმა გადანყვიტა-ქართველები დამარცხდნენ და ამ მარცხმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ივერთ სამკვიდროს.

მსჯელობა, რომელიც ერეკლე მეფესა და სოლომონ მსაჯულს შორის იმართება, არის სჯა-ბაასი ორი პატრიოტისა, ორი გულმხურვალე მამულიშვილისა, რომლებსაც თანაბრად შესტკივად გული ქვეყნის სვე-ბედზე და მთელი არსებით ესწრაფვიან მის გადარჩენას, ოღონდ სამშობლოს მომავალი არსებობა სხვადასხვანაირად წარმოუდგენიათ.

გადატანილი უბედურებით მაშვრალი მეფე მთელი სიმწვავეით ისიგრძეგანებს შექმნილ ვითარებას და თვლის, რომ ქვეყანას მოსალოდნელი თავდასხმების მოგერიება აღარ ძალუძს. მოპოვებული გამარჯვებით გათამამებული ალა-მაჰმად ხანი კვლავაც გამოილაშქრეს საქართველოზე. მას არც ოსმალ-ლეკები ჩამორჩებიან, ღროს ვერაგულად იხელთებენ და არაერთხელ მოითარეშებენ ივერთ სამკვიდროს (დევდარიანი, 2002: 89).

ნიკოლოზ ბარათაშვილი როგორც ერეკლეს, ისე სოლომონს თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალებას აძლევს. მხარეთა კამათი და თითოეული მათგანისგან წამოყენებული აზრთა საბუთიანობა აქ იმდენად ობიექტურია და დამაჯერებელი, რომ პოეტის პირადი შეხედულებანი აქ მაინცდამაინც არც კი ჩანს“(ინგოროყვა, 1922:329).

მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავს და ართულებს სამეფო კარზე შექმნილი არეულობა, უფლისწულებს შორის ჩამოვარდნილი შეუთანხმებლობა და გათიშულობა. მეფეს ერთი მემკვიდრეც კი არ მიაჩნია სახელმწიფოს სათავეში ჩადგომის ღირსად.

ყოველივე ამის გამო მეფე თვლის, რომ საქართველოს ძლიერი მფარველის ფიზიკური განადგურების რეალური საფრთხე ემუქრება და, რომ გადარჩეს, ძლიერ მფარველს უნდა მიენდოს. ასეთ შემწედ პატარა კახი რუსეთს მიიჩნევს. მის ამ არჩევანს სარწმუნოებრივი ერთიანობა განაპირობებს:

„ან განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება,
მას მსურს, რომ მივცე მემკვიდრეობა

და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა“ (ბარათაშვილი, 1954:71).

კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მეფე ამაზე რეალურ გამოსავალს ვერ ხედავს:
„კეთილთა ღღეთათვის ქართლის“ უმჯობესი ვერაფერი მოუფიქრებია.

ამ გადანწყვეტილებამდე რომ მიდის, იგი „არ ფიქრობს, ვითარცა მეფე, თვისს
დიდებისთვის სისხლთა აღმჩქეფე, არამედ ვითა მამა კეთილი, რომელსა სურს, რომ
თავისი შვილი თვის სიცოცხეშივ დაასახლკაროს“. მფარველის ძებნას მას
მოსალოდნელი „გარდაქარების“ საშიშროება აიძულებს. ერეკლე იმედოვნებს, რომ
„რუსეთის საფარ-ქვეშ“ საქართველო ამოიყრის სპარსეთის ჯავრს და ქრისტიანობა
მარად შენარჩუნდება. საქრისტიანო წელში გაიმართება, წინაპართა აჩრდილებიც
დამშვიდდებიან და დანყნარდებიან:

„ახლა კი დროა, სოლომონ, რომა

მშვიდობა ნახოს საქართველომა“

(ბარათაშვილი, 2004:78).

მეფის მსაჯული, „სულით ღელვილი“ სოლომონი არ ეთანხმება მეფის რჩევას. ის
აღიარებს, რომ თავისუფლება არის ისეთი ნიჭი, რომლის სანაცვლო არაფერია
ამქვეყნად. ყველაფრის მსხვერპლად მიტანა შეიძლება, მაგრამ თავისუფლებისა კი
არა. მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი დამთავრებული არაა:

„ჯერ სამაგისო რა გვემართება,

რომ განვისყიდოთ თავისუფლება? (ბარათაშვილი, 1981:101)

მსაჯულს ვერ დაუჯერებია, რომ ქართველნი რუსების ხელში ბედნიერები იქნებიან.
მისი ღრმა რწმენით სახელმწიფოთა ურთიერთობისათვის მთავარია არა
სარწმუნოებრივი ერთიანობა, არამედ ტრადიციების, ადათების, წეს-ჩვეულებების,

თვისებების მსგავსება-ერთიანობა, სულთა ნათესაობა, ვერასოდეს შეითვისებს, მის ჭირსა და ლხინს ვერ გაიზიარებს.

„იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?

(იქვე, 101)

სოლომონის რწმენით, ქართველებს „არად მიაჩნით უბედურება, თუ აქვთ თვისთ ჭერთ ქვეშ თავისუფლება“.

ნაწარმოებში მსაჯულის პოზიციებს მისი ცოლი-სოფიო განამტკიცებს. ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა მოელის, თავზარს სცემს მას. სოფიოს ვერ ხიბლავს ის თვალსაჩუქარი ბრწყინვალება, „განცხრომილება, ფუფუნება“, რომელიც მას, ისევე როგორც სხვა ქართველ ბანოვართ, პეტრეს ქალაქში, რუსთ ხელმწიფის კარზე მოელის. იგი უმაღლესი სიკვდილს ირჩევს, ვიდრე თავისუფლების დაკარგვას შეეგუება:

“უნინამც დღე კი დამელევა მე!

უცხოობაში რაა სიამე,

სადაცა ვერ ვის იკარებს სული

და არს უთვისო, დაობლებული?

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,

გალიაშია დატყვევებული!”(ბარათაშვილი,1981:106).

სოფიოს აზრით, თავისუფლებას ვერავითარი განძი და საბოძვარი, ვერავითარი პატივი და დიდება ვერ გადასწონის. საკუთარ მამულში ხომ ადამიანი ჭირსაც ადვილად იტანს და სიხარულსაც განსხვავებულად არიქვამს, რადგან იქ სული სულთანაა შეთვისებული და გული-გულთან. უცხო ვერასოდეს გაგიგებს, ვერასოდეს განუგებებს ისე გულწრფელად, როგორც თვისტომი და საერთოდაც,

„რას არგებს კაცსაც დიდება,

თუ მოაკლდება თავისუფლება? „(იქვე, 106).

სოფიოს ამ მტკიცე პოზიციისადმი თანადგომას ნიკოლოზ ბარათაშვილი აღტაცებული შეძახილით გამოხატავს. ნეტარი, ღირსსახსოვარი დედების ხოტბა-დიდებითაა აღსავსე უფაქიზესი განცდით გამსჭვალული სტრიქონები:(დევდარიანი, 2002:93)

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!

რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ

სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!..”(იქვე, 107)

პოემაში ეს ადგილი არის მთელი პოემის გასაღები და პოეტის განცდების, სიმპატიების მაჩვენებელი(კოტეტიშვილი, 1959: 123-124).

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ ვის პოზიციას იცავს ნიკოლოზ ბარათაშვილი: ერეკლე მეფისას თუ სოლომონ-სოფიოსას.

ვინ იყო მართალი ამ ტრაგიკულ პაექრობაში?

პოეტი ამის შესახებ სდუმს. იგი გრძნობს გარდუვალ სიმართლეს ორივე გმირისას.

მაგრამ თუ პოეტის გონება გაორებულია ამ ტრაგიკული დილემის წინაშე, პოეტის გული, ანთებული თავისუფლების სიყვარულით, იმის მხარზეა, ვინც თავისუფლების დაკარვის ვერას დროს ვერ შეურიგდება.

ამრიგად, პოემის „ბედი ქართლისა“ (1839) სიუჟეტს საფუძვლად უდევს რეალური ისტორიული მოვლენა გაცნობიერებული აუცილებლობის განსახიერებაა. ერეკლეს ღრმად აქვს შეგნებული ისტ. - ალა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წელს თბილისის აღება, რამაც ფაქტობრივად საქართველოს მომავალი ბედი განაპირობა; მაგრამ „ბედი ქართლისა“, როგორც რომანტიკული პოემა, შორს დგას ისტორიზმის მყარი პრინციპებისაგან. პოემაში წარმოსახული მოვლენები სიმბოლურ განზომილებასაც შეიცავს. ერეკლე II-ის სახე და მოქმედება ბარათაშვილისთვის ბედისწერის გარდუვალობა. სოლომონ მსაჯული ერეკლესთან პაექრობისას, ძირითადად ,ადამიანური ბუნებისა და ერის თვისების ცნებებს ეყრდნობა: ადამიანთა თანდაყოლილი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, მისი რწმენით, შეუძლებელს ხდის არსებობის უცხო, შეუთვისებელ ფორმებთან შეგუებას. ეს დავა, ემოციური

შთაბეჭდილების თვალსაზრისით, მსაჯულის სასარგებლოდ წყდება, მაგრამ საბოლოოდ, ობიექტურად, პოემაში მაინც ერეკლეს სიბრძნე იმარჯვებს (25.05.2019წ. <https://burusi.wordpress.com/2010/11/26/nikoloz-baratashvili-21/>).

ბარათაშვილის პოემას „ბედი ქართლისა“ განუზომელი გავლენა ჰქონდა მე-19 საუკუნის ქართულს ლიტერატურაზე. მომდევნო ეპოქის ქართული მწერლობა ისევ და ისევ უბრუნდება „ახალი ქართლის“ იმ საჭირობოროტო საკითხებს, რომელნიც ასეთის სიმწვავეთ, ასეთის გაბედულებით, ასეთის ტრაგიკულის სიმკვეთრითა და პირდაპირობით აღსძრა პოეტმა. მე-19 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია აქ პოულობს თავის დასაყრდენს, აქედან გამოდის, იზრდება, მიემართება ახალი იდეალებისაკენ. ნ. ბარათაშვილი არის დიდი წინამორბედი ილია ჭავჭავაძისა. ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“ არის მომდევნო ეპოქის პასუხი იმ საკითხზე, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა აღრძა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის გნსაკუთრებული რეზონანსი გამოიწვია ამ ნაწარმოების, როგორც იდეური მიზანდასახულით, ასევე მხატვრული ღირსებებითაც.

რომანტიკოსი „ბედი ქართლისაში“ თავისი მხატვრული მანერით გვევლინება როგორც რეალიზმის წინამორბედი ახალ ქართულ მწერლობაში. ბარათაშვილმა მოგვცა თავის პოემაში ის თავისებური შერწყმა რომანტიზმისა რეალიზმთან, რომელიც ახასიათებს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლებს, აძლევს ახალ ქართულ ლიტერატურას თავის ტონს, თავის სახეს (ბარათაშვილი, 1945 :LXII).

და მართლაც, ნიკოლოზ ბარათაშვილი პრინციპულად ეროვნული თავისუფლების იდეის თავდადებულ მომხრედ გვევლინება, მაგრამ იმისტორიულ სიტუაციაში, რომელშიც მოქცეული იყო მე-18 საუკუნის საქართველო, ბარათაშვილი ერთადერთ სწორ პოლიტიკად თვლის ერეკლე მეორის ორიენტაციას“ (აბზიანიძე 1955:8).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური აზროვნებისთვის დიდად დამახასიათებელია მისი ლექსი მიძღვნილი კაკკასიის ომებისადმი. აქაც ლექსებისა და ჩაჩნებისადმი იგივე შეუბრალებელი შურისძიების გრძნობაა გამომჟღავნებული, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა გამოამჟღავანა თავის წერილებში, იქაც რუსეთის იმპერატორი ერეკლე მეფის პოლიტიკის გამგრძელებლადაა წარმოდგენილი.

ირაკლი მეფის საფლავისადმი მიძღვნილ ლექსში და „ბედი ქართლისაში“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა პატარა კახის ღრმად ტრაგიკული და ადამიანურად მიმზიდველი ფიგურის ასახვა მოგვცა. ეს „ეული მეფე“, რომელი არ დაინდეს არც მტრებმა, არც ცოლ-შვილმა, არც ქვეშევრდომებმა, ამართულია ძველი ტაძრის კედლების ფონზე, არაგვის ატეხილ ჭალებში, როგორც სიმბოლო საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, მონუმენტური თვით დამარცხებასა და დამცირებაში. ძნელია იმის გამორკვევა, რას უფრო სცემს პატივს პოეტი: მის სამხედრო ნიჭს და გმირულ სულს, თუ მის პოლიტიკურ გამჭრიახობას. ყოველ შემთხვევაში, უცილობელია, რომ თუ პოეტის პოლიტიკური აზროვნება, მისი სულის იდუმალი ზრახვები თავისუფლების იდეას ეკუთვნის (ქიქოძე, 2009:12).

პოეტი ანგარიშს უწევს ისტორიული გარდუვალობით შექმნილ პირობებს; იგი იძლევა ახალ გადაფასებას თაობათა ძველი ნააზრებისა.

ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა“ დაწერილია 1842 წელს, როდესაც გადასახლებაში მყოფი შეთქმულნი, „უამ-ვითარებით მიდამო გარდახვეწილნი“, თანდათან ჩამობრუნდნენ საქართველოში:

უამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო

მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;

მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული

უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.

და მუნით ჰზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,

მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!

სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,

მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს ან ხელი! (ბარათაშვილი, 1954:48)

პოეტს იმედს ჰგვრის ის გარემოება, რომ საქართველომ, სისხლიდან დაცლილმა წარსული საუკუნეების ხანგრძლივი ომების გამო, დაისვენა და ძალების მოკრება დაიწყო, რომ „ახალი ქართლი“ ახალი გზით მიდის განახლებისაკენ.

ამიტომაც, პოეტი მუხლს იყრის ერეკლე მეფის აჩრდილის წინაშე, რომლის ანდერძმა ღონემიხდილსა და განწირულებამდე მისულს საქართველოს შეუქმნა შესაძლებლობა ახალ გზაზე გამოსვლისა:

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!
აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,
და თაყვანსა სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგსა!
(ბარათაშვილი, 1954:49).

ამრიგად, ნ. ბარათაშვილი ამ ლექსში- „საფლავი მეფის ირაკლისა“- იზიარებს ირაკლი მეფის ანდერძ-ნამაგს; პოეტი ფიქრობს, რომ საქართველოს რუსეთთან დაახლოება იყო ისტორიულად გარდუვალი აქტი და ერთადერთი სწორი გზა შექმნილი გამოვუალი მდგომარეობიდან. პოეტს თავისი ქვეყნის ხსნად მიაჩნია, რომ საქართველომ გაარღვია რკალი ბარბაროსული ქვეყნების გარემოცვისა და აღადგინა კავშირი კულტურულ მსოფლიოსთან, რომელსაც საქართველო საუკუნეებით იყო მონყვეტილი.

ნიკოლოზი ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ჯაჭვის გადაბმაა წარსულიდან მომავლისაკენ.

პოლიტიკური აზრი ლექსისა იგივეა, რაც მოცემულია ილიას ცნობილ ანდერძში:

მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულია,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა!
მოვიკალთ წარსულ დროებაზე დარდი,
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენ ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს

(ინგოროყვა, 2009:84).

პოეტის დიდი სულიერი ტრაგედიის სათავე სწორედ ის არის, რომ იგი არაა დამშვიდებული თავისი ქვეყნის ბედის გამო; პოეტი ვერ ურიგდება ბოლომდე ირაკლი მეფის ანდერძ-ნამაგს, რამდენადაც ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს ეროვნული

დომოუკიდებლობის მოსპობა და დამონება. პოეტის გული აგზნებულია თავისუფლების სიყვარულის დაუშრეტელი ცეცხლით და იგი მთელი სიმწვავეთ განიცდის სამშობლოს ქვეყნის ტრაგიკულ ხვედრს.

სწორედ იმავე 1842 წელს, როდესაც დაიწერა „საფლავი მეფის ირაკლისა“, პოეტმა დაწერა პოემა „სუმბული და მწირი“, სად მკვეთრ სიმბოლურ სახეებში იგივე საკითხებია დასმული „ახალი ქართლის“ ყოფნა-არყოფნისა. პოეტს უდიდეს უბედურებად მიაჩნია დაკარგვა თავისუფლებისა, რომლის სანაცვლო არაფერია ამ ქვეყნად. პოეტს წარმოდგენილი ჰყავს თავისი სამშობლო როგორც სუმბულის ყვავილი, რომელიც ბუნების თავისუფალი წიაღიდან გადარგულია ოთახში, და რომელსაც თუმცა გარეშე სიცივე ვერას აკლებს, მაგრამ ოთახის ხშულ ჰაერში ჰკარგავს თავის სურნელსა და ფეროვნებას...

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ერთმანეთის პირისპირ დგას ორი სინამდვილე: მიწიერი და ზეციური, დროებითი და მარადიული, ბიწიერი და ღვთაებრივი. ერთი მხრივ-ფუჭი და ამაო ცხოვრება, „შფოთვითა და რტვინვით“ აღსავსე საწუთრო-აღუვსებელ საწყაულად ქცეული წუთისოფელი, სიხარბით, გაუმძღრობით, დაუკმაყოფილებლობით, მომხვეჭელობით დალდასმული; მეორე მხრივ-პირველქმნილი, არაამქვეყნიური, კრიალა ცარგვალი, ლაჟვარდი ცისა კამარა, გუმბათზე ნაზად მოარე დისკო გადახრით შუქმიბინდული, მხურვალე ლოცვით მიქანცებული სულივით უმანკო მთვარე და მას ადევენებული ობოლი ვარსკვლავი... და ცის იქითა სადგური, ზენაართ სამყოფი, ციური განგება გლახ, მოკვდავთათვის შეუცნობელი სინამდვილე! ერთი მხრივ-ყოველდღიურობა, ამაო საწუხარი: „საშვენი მხვედრი“, „მომავლის დინება“, კუთვნილი „წილობა“, ადამიანთა უსულგულობით, განუსჯელობით, ცბიერებით აღძრული ტკივილი „გულისა და გონებისათვის უსარგებლო“ ცხოვრება; მეორე მხრივ-იდეალური ქვეყანა, მიუწვდომელი სიკეთისა და აუმღვრეველი სიყვარულის სამეფო, ღვთიური სხივის გამომცემელი უქრობელი წმინდა ლამპრით გაშუქებული „ციურ დასთა გალობის ზარით“ აღსავსე ტაძარი...

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში ადრევე „შემოლამება მთაწმიდაზედ“ (15 წლის ასაკშია დაწერილი!) გამოიკვეთა მარადიული, უკვდავი ღირებულებებისაკენ

ლტოლვის, უკეთილშობილესი იდეალობისაკენ სწრაფვის მოტივი. რომანტიკოსი პოეტის შეუბღალავი სულიერი სამყარო, მშვენიერისა და ამაღლებულისაკენ მიმსწრაფი ბუნება ყველაზე სრულყოფილად „მერანშია“ გამოვლენილი. მასში აშკარად გაცხადდა უსასრულო სრულყოფა უსაზღვროებამდე ამაღლებული სულისა, რომელმაც საბოლოოდ გაარღვია ამსოფლიური ტკივილებით შემოფარგლული ინტერესების სფერო და ტიტანური ენერგია ბედის საზღვრის გადასალახად მიმართა. საუკუნე-ნახევარზე მეტია, ეს ლექსი ქართველი კაცის ცნობიერებაში პიროვნული თუ საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრის, ეროვნული თუ ზოგადკაცობრიული საზრისის ერთიანობის უკვდავ სიმბოლოდ: ბრძოლის წყურვილის, აღმაფრენის, „მშვენიერი, აღტაცებული, გიჟური ლტოლვის“ მხატრულ ემბემად იქცა. უზენაესთან მიახლების, მარადისობაში დამკვიდრების, ზეციური მოქალაქეობის ღირსყოფის გზად „მერანში“ მოძმეთათვის თავის განწირვა, კაცობრიობის ხსნისათვის ბრძოლაა გამოცხადებული. ეს არის უზენაესი მიზანი, რომლის მისაღწევად მხედარი ყოველგვარი მსხვერპლისათვის, სრული თვითგაღებისათვის, თვით სიცოცხლის გასაწირადაც მზად არის(დევდარიანი, 2002:39).

სიმონ ჩიქოვანის აზრით, „ცხენოსანი რაინდის მიერ ბედთან ჭიდილი და წინააღმდეგობათა დაძლევა მოარული სურათია მსოფლიო პოეზიაში“ (ჩიქოვანი 1963: 132).

„ბედის სამძღვრის“ გადალახვა არ წარმოადგენს ბედთან ბრძოლის, ბედის დაძლევის მეტაფორას (ან, უფრო ზუსტად, მარტოოდენ ბედთან ბრძოლას როდი აღნიშნავს)“, „ლექსში მეტონომიურია „ბედის სამძღვრის“ მოტივი, რადგან ის აღნიშნავს არა მარტო საზღვარს, არამედ იმ სივრცესაც რომელსაც შემოსაზღვრავს (მამული, ბედი)“ (ლომიძე, 2014: 40).

“მერანის ქმედითი, აქტიური ოპტიმისტური მსოფლმხედველობა დამყარებულია არა საბოლოო მიზნის, იდეალის მიღწევის იმედზე. მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს იმის შეგნება, რომ ადამიანი გაჩენილია, მთელი თავისი არსებით მოწოდებულია ამ მიზნის მისაღწევად თავგანწირული ბრძოლისათვის“(ასათიანი, 1974: 172)

„მერანი“ არის მხატვრული ილუსტრაცია იმისა, რომ არსებობენ ფასეულობანი, რომელთათვისაც ღირს თავგანწირვა, თვითგამეტება, მსხვერპლის გაღება. ეს არის იდეალური კაცობრიული ღირებულებები, რომლებიც უფრო ფასეულია და მნიშვნელოვანი, ვიდრე ადამიანის სიცოცხლე, ამიტომაც მათი გადარჩენისათვის ბრძოლა იმ ზეგარდმო ვალის აღსრულებას ნიშნავს, რომელიც განგებამ თავის რჩეულთ დააკისრა.

„მერანი“ სიკვდილთან შეთანხმების, სიკვდილისათვის თვალეში ჩახედვის, სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის უკვდავი საგალობელია. მასში ტრაგიკულ ინტონაციებს ოპტომისტური ტონალობა გადაჰფარავს, რადგან ისეთი დიადი მსხვერპლის გამღები, როგორისთვისაც ლექსის ლირიკული პერსონაჟი იღვწვის, უკვდავების თანაზიარია, მასთან შერკინებული ბოროტება კი - განწირული, გამეტებული.

იღუმალი ხმის „საიდუმლობა“ „მერანში“ სააშკარაოზგა გამოტანილი. „ეშმაკი, მაცდური მისი“, რომელიც მის ცხოვრებას უსასრულო შფოთვა-ფორიაქს „მოუსწავებდა“, აქ შავ ყორანშია პერსონიფიცირებული ეს „თვალბედითი“ არსება ავისმომასწავებლად მისჩხავის „შავად მღელვარი“ ფიქრით მოცულ მხედარს, რათა „სამზღვარი“ დაუდოს მის თავგანწირულ სრბოლას და სიკეთისაკენ სავალი გზები ჩაუხერგოს მას(ამას იგი სიცოცხლეს მისას აღრევე „განუშვადებდა“) (დევდარიანი, 2002: 40).

აკაკი განერელიას აზრით: „მერანში“ გვაქვს გმირული შერკინება ბედთან“- „ფრთებშესხმულ, სივრცეში მსრბოლ მერანზე მჯდარ მხედარს უკან მოსჩხავის ტრაგიკული აღსასრულის მაუნყებელი შავი ყორანი. პოეტიც უყვიის თავის მერანს გადაატაროს ბედის საზღვარი“(განერელია, 1947:117).

საზღვარმიუჩენელი ჭენების უნით შეპყრობილი მფრინავი რაში და თვალბედითი (ავბედა, ბედუკულმართი, ავისმომასწავლებელი თვალის პატრონი), ყრანტალა შავი ყორანი, ლექსის პირველსავე სტროფში გამოიკვეთება.

ლექსი მერანში ამაღლებული მიზანი, მოუთმენელი ქროლვა, თავგანწირული სრბოლა მისგან სრულ თვათგაღებას მოითხოვს. ისიც, უსასრულო სივრცის, სანუკვარი

მიზნის, შეუპოვარი სწრაფვის სიღიადის მთელი არსებით განმცდელი, არავითარი სიძნელისა და დაბრკოლების წინაშე უკან არ იხევს. მან უკვე შეიგრძნო ვაჟკაცური გაქროლების მომხიბლელობა და ამიტომაც მის ნებას წინ ველარაფერი გადაელობება.

გმირი არავითარ შეღავათს არ ითხოვს. სულის მოთქმაზე, ძალების მოკრებაზე, თუნდაც წამიერ შეყოვნებაზე ფიქრი წარმოუდგენელია მისთვის. ენერჯის უჩვეულო მოზღვავეებით ფრთაშესხმული, იგი აღარც წყალსა და ქარს უშინდება, აღარც კლდესა და ღრეს, აღარც ხვატსა და ყინვას, არც სიცხესა და ავდარს, მიქრის დავდაუზოგავად, სულმოუთქმელად, სუნთქვაშეგებებული, საბრძოლო ყიჟინით ამხენევებს ქროლის ყინით ისედაც გაგიჟებულ მერანს და “თავგანწირულ მხედრის“ არდაზოგვას, არ შებრალებას სთხოვს მას:

„გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემომოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემობრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!“

(ბარათაშვილი,1981:60).

ღიადი მიზანი დიდ ძალას ითხოვს, დიდ ნებისყოფას, დიდ შემართებას. რაც მთავარია, იგი ღიად მსხვერპლს ითხოვს, ტკვილისმომგვრელს, აუნონელს, აუნაზღაურებელს, მაგრამ, ესოდენ მაღალ მიზანთან შედარებით-წვრილმანს, უმნიშვნელოს, არად ჩასაგდებს. მერე რა, რომ მამულის დათმობა, ტოლ-სწორებთან განშორება მოუხდება. მერე რა, რომ მშობლების სიახლოვეთა და სათაყვანებელი სატრფოს ამო საუბრით განცდილ სიხარულს ვეღარ ეღირსება, ვარსკვლავები ხომ ეყოლება მესაიდუმლედ და გულშემატკივრად, პირველქმნილი უბინობითა და არაამქვეყნიური სინმინდით გაშუქებულ ცაზე აკიაფებული ვარსკვლავები! თანაც მიწიერი სიხარულის დათმობის საზღაური-ზემიწიერი სიხარულის მოლოდინი ხომ სწორედ ციურ ვარსკვლავებს უნდა გაუზიარო!

„რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა;

საც დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,

მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“ (იქვე, 60).

მერანის საასპარეზო სარბიელი განუზომლად ვრცელი და შემოუსაზღვრელია. მის სრბოლას განა მართო ქარი და ქარიშხალი, სიცხე და ავდარი ვერ შეანელებს, ვერც აბობოქრებელი, ფაფარაშლილი, შავი ვეშაპივით ძვინვარე და საზარელი ზღვის მღელვარება დააოკებს. მისი „ მშვენიერი, აღტაცებული, გიჟური „მერანის“ გმირის დასახული გზა გამორიცხავს საკუთარ მამულში დაბრუნებას, წინაპართ საფლავებს შორის დამარხვას, სატრფოსთან მწუხარე ცრემლის დაბკურებას, ნათესავ-ახლობელთაგან დატირებას. მან იცის, რომ თვისტომთა ნაცვლად საფლავს ყორანი გაუთხრის, მიწას კი ქარიშხალი მიაცრის, მაგრამ არჩეული გზიდან მაინც არ გადაუხვევს, რაგან მისთვის მიზანი სიცოცხლეზე მეტია.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,

ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის;

შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის მინდვრის,

და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მამაცრის!“ (იქვე, 60).

მოძმისათვის თავდადების ამ საოცარ ღალადისში თვალნათლივ გამოიკვეთება სახე მაღალი იდეალების სამსხვერპლოზე დასათვრთლად მზადმყოფი გმირისა, რომელსაც ანდერძ-ნამაგად გადმოეცა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი გმირის შთამავგონებელი სიტყვები:

” თუ სანუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოებელმან,

ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,

ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან, -

მუნ შემინყალოს თქვენმანვე გულმან მონყალე-მლმობელმან“ (იქვე, 61).

„მერანის“ გმირისათვის ადამიანური შესაძლებლობანი ამოუწურავი, განუსაზღვრელია. დაღუპვის მოლოდინი კი არ ანელებს, ამძაფრებს კიდევ მის აღტყინებას, რადგან მან იცის, რისთვისაც კვდება, რასაც ეწირება. ბედის საზღვრის გადალახვა, ბედთან შეურიგლებლობა სულის დამხობი ბორკილების დამსხვრევას, სულიერი თავისუფლების შემოუსაზღვრელობას ნიშნავს, ეს კი იმდენად ძვირფასი

მონაპოვარია, რომ სატრფოს ცრემლის მოლოდინის სიხარულსაც გადასწონის და ნათესავთა გლოვის მონატრების ტკივილსაც(დევდარიანი, 2002: 44).

„გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,

თუ აქამომდე არ ემონა მას, არც ან ემონოს შენი მხედარი! –„

მიმართავს გმირი თავის ფრთოსან რაშს და ამ სიტყვებით მთელი სიგრძე-სიგანით გამოაქვს სააშკარაობზე იმ განცდის სიღიადე, რომელიც სულს საოცნებო მიზნისათვის ბრძოლის გზაზე ეუფლება.

„მერანის“ ყოველი სტრიქონი საბრძოლო ყიჟინითა და შემართებით არის აღსავსე. მხედრისათვის უცხოა ძრწოლა და სიძაბუნე, იგი „უშიშოა, ვითარცა უცხოცო“, რადგან ღვთისა და მოყვანის სიყვარულთან შიში შეუთავსევსებელია. „შიში არა არს სიყვარულსა თანა, არამედ სრულმან სიყვარულმან გარე განდევნის შიში“ (ბიბლია,1989, იოანე 4, 18)..საერთოდაც, რა სახსენებელია შიში ღვთის გზაზე შემდგარისათვის, მან ხომ იცის უფლის სიტყვები, ესაია წინასწარმეტყველის პირით წარმოთქმული: „წყალზე გასვლისას მე შენთანა ვარ. მდინარენი ვერ წაგლეკავენ შენ. შეხვალ ცეცხლსა შინა და არ დაიწვები და არცა ალი მოგეკიდება“(ბიბლია, 1989, ესაია 43,2)... სრბოლის გზაზე განცდილი ტანჯვაც ნეტარებაა მისთვის, რამე თუ მის სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ ექნება გამართლება, თუ თავისი ჯვრის გოლგოთაზე ბოლომდე ატანას შეძლებს. მისი სწრაფვა, მის ჭენება წამითაც არ ნელდება, რადგან იცის, რომ ავსულმა, რომელიც უკან მოსჩხავის, თავზე არ უნდა გადაუქროლოს, გზა არ უნდა მოუჭრას, თორემ მერე წინსვლა წარმოუდგენელ შეიქმნება, გათამამებულ-გათავხედებულ მეტოქესთან ჭიდილი შეუძლებელი გახდება, მას კი „სწყურს, ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი“ „ შავად მღელვარი ფიქრი“, რომ „ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს“ (ილია). ახლა იგი“ ჩუმად ნაღვლით“ კი ველარდაელოდება, რას „მოუსწავებს“, რას „განუმზადებს“ მაგრამ ბედისწერას არ დანებდება და თვის საბრძოლო სულისკვეთებას „ბედის სამძღვარს“ გადაატარებს.

ილია ჭავჭავაძის აზრით, ნიკოლოზ ბარათაშვილი განგებამ ქვეყნად განსაკუთრებული მისიით მოაწვლინა. „ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და

თავმოსაწონებლად ნიკოლოზ ბარათაშვილი, უკურობა ენა მეტყველებისათვის, თვალნი-ხედვისთვის, ყურნი-სმენისთვის, გულს ჩაუდგა გაუქრობელი ცეცხლი კაცთა გულის გასათბობელად და უბრძანა: წადი და კაცთა ნათესავს ამცნე ჩემი და სიტყვით გული აუნთეო“.

რა არის ის უზენაესი მცნება, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა კაცთა ნათესავს უნდა ამცნოს? მაცხოვრის განმარტებით, ყველა მცნებაზე აღმატებული ღვთისა და მოყვასის სიყვარულია. ფარისეველთა კითხვაზე: „რომელი მცნებაი უფროის არს სჯულსა შინა?“- იგი მიუგებს: „შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა გონებითი შენითა. ესე არს დიდი და პირველი მცნებაი და მეორე, მსგავსი ამისა: შეიყვარო მოყუსი შენი, ვითარცა თავი თვისი“ (ბიბლია, 1989, მათე 22,37-39).

როგორც ვხედავთ, მაცხოვარი აერთიანებს ღვთისა და მოყვასის სიყვარულს, რადგან ის, ვისაც ღმერთი უყვარს, მოყვასს ვერ შეიძლებს, ხოლო, ვისაც მოყვასი არ უყვარს, ის ვერც ღვთის სიყვარულს შეძლებს (ბიბლია, 1989, იოანე 4,20). ყურადღება მივაქციოთ: ქრისტე ხაზს უსვამს, რომ სიყვარული მცნებაზე მეტია მართლაც, მოყვასის მოყვარულმა, არ შეიძლება, მცნებები არ აღასრულოს, ხოლო, მცნებათა აღმსრულებელს, არ შეიძლება, ღმერთი არ უყვარდეს. ქრისტეს მოძღვრებაში „ეს ორი მცნება ერთიანდება, ერთმანეთს ამავრებს და შეიცავს თავისში ყველა სხვა მცნებას“- გვასწავლის ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი („განმარტებანი მათეს სახარებისა“).

მოძმეთა ხსნისათვის თავის განწირვის იდეა „მერანს“ მაგისტრალურ ხაზად გასდევს. მთელი ეს ქროლა და სრბოლა, სწრაფვა და შემართება, ბრძოლა და თავგამეტება მოყვასის საკეთილდღეოდაა მიმართული. ლექსის მთელ სულისკვეთებას განსაზღვრავს წმინდა წერილის საკაცობრიო შეგონება: „რომელსა უყვარდეს ძმაი თვისი თანა, ხოლო, რომელსა სძულდეს ძმაი თვისი, იგი ბნელსა და შინა არს და ბნელსა შინა ვალს და არა იყის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრძნა თუალნი მისნი“ (ბიბლია, 1989, იოანე 2, 10, 11).

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მშვენიერი, ალტაცებული, გიჟური ლტოლვა“ ღვთაებრივი ზეთის მოსაპოვებლად არის გამიზნული. უზენაესი მცნების- მოყვასისათვის

თავგანწირვის- აღსრულებით უნდა შეიქნეს იგი ღირსი იმისა, რომ ცეცხლი, რომელიც უფალმა მკერდში კაცთა გულის გასათბობად ჩაუდგა, უქრობელი გახდეს და „დაშობილი მისი ლამპარი“ აღარასოდეს ჩაქრეს... რაც მთავარია, მის კვალში ჩამდგარს, ვინც, მსგავსად მისა, თავის ჰუნეს „შავის ბედის წინ“ (წინააღმდეგ) გააქროლებს, „სიძნელე გზისა“ გაუადვილდება, რადგან ეს გზა უვალი კი აღარ იქნება, არამედ- მერანის მიერ გათელილი და გაკვალული:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

(ბარათაშვილი, 2009:131).

„მერანის“ დაწერის საბაზად ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძის ილიკო ორბელიანის დატყვევება იქცა. ამასთან დაკავშირებით პოეტი გრიგოლ ორბელიანს სწერდა: „ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორი გითხრა, ძალიან შევწუხდი. ასე რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვადასხვას უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამე დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ „სხვადასხვა უცნაურ ფიქრებსა და სურვილებში“ იგულისხმება სურვილი იმისა, „რომ მას ეხილა სხვა ვაჟკაცები, თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისთვის თავგანწირულ და თავდადებულ სხვა გმირად“, რომელიც „მერანის“ ლირიკულ პერსონაჟში იგულისხმება.

„მერანი“ ბრძოლისა და მოქმედების უკვდავი საგალობელია. იგი იწყება ბრძოლით და მთავრდება საბრძოლო ყიჟინით, რაც პოეტის მშობელი ხალხის სულისკვეთების გამოხატულებად აღიქმება. ლექსი განამტკიცებს მარადიული ბრძოლის, გამუდმებული მოქმედების შესაძლებლობის რწმენას, თავისუფლებისმოყვარე სულით აღავსებს მკითხველს, მასში აღვივებს სურვილს იმისას, რომ ღვთისგან მინიჭებული თავისუფალი ნება სიკეთის სამსახურში ჩააყენოს და ამით აღასრულოს უზენაესი მცნება

მისი, ვისიც „ უღელი ტკბილ არს და ტვრთი- სუბუქ“ (ბიბლია...მათე 11, 3) (დევდარიანი, 2002: 49).

თავი II. სახარებისეული სახე-სიმბოლოები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია საზრდოობს მდიდარი ქართული ლიტერატურის, ზოგადად, კულტურის, ტრადიციით. მისი პოეტური მსოფლმხედველობის წყაროებია, როგორც ფოლკლორი, ასევე ბიბლია (ძველი და ახალი აღთქმის წიგნები), სასულიერო მწერლობა, ჰიმნოგრაფია, აღორძინების ხანის ლიტერატურა და მისივე თანადროულ პოეტ - რომანტიკოსთა გამოცდილება (ელიოტი 2010: 98).

მნიშვნელოვანია, იონა მეუნარგიას მოსაზრება, იმასთან დაკავშირებით, რომ ბარათაშვილის პიროვნულ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეუსრულებია პირველდანწყებით განათლებას. კერძოდ, „ქართული ენა დავითნ-სახარებისა და „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც ბარათაშვილმა პატარაობიდანვე ისწავლა“, „ლოცვანი, დავითნი, ჟამნი, სამოციქულო, სახარება, ე.ი. ათასის წლის ქართული ენა, რომლითაც გულმხურვალედ ულოცნია ქართველ კაცს, უქია და უდიდებია შემოქმედი, გამოუხატნია უაღრესი და უდიდესი თავისი სულის მოძრაობისა, შეიქმნენ ქვაკუთხედად მისი მომავლის მსახურებისა ქართული მწერლობისადმი“ (მეუნარგია 2010: 319; 361).

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების ქვაკუთხედი, სწორედაც ქრისტიანული სარწმუნოებაა. ამასთან დაკავშირებით, მანანა კაკაბაძე წერდა: „ქრისტიანული შუასაუკუნეების ლიტერატურა, რომლითაც ასე მდიდარია ქართული მწერლობა, ბარათაშვილის შემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი საფუძველია“ (კაკაბაძე 1983: 8).

მართლაც, ბარათაშვილის შემოქმედების ბიბლიასთან და ძველ ქართულ სასულიერო მწერლობასთან კაშირი ღრმა და მრავალფეროვანია. ამ

თვალსაზრისით, ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება. მათ შორის, ყურადსაღებია, ლექსი „ჩემი ლოცვა“, რომელიც ნასაზრდოებია ძველი და ახალი აღთქმისეული ალუზიებითა და რემინისცენციებით.

ლექსის პირველივე სტრიქონებიდან იკვეთება სულიერი კავშირი სახარებასთან:

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“ ტაეჰში „ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი“. წარმოდგენილია ალუზია სახარებიდან, კერძოდ, „ძე შეცდომილის იგავი“ რომელიც ლუკა მახარებელს აქვს მოთხრობილი (ბიბლია, 1989, ლუკა 5,11-32). მკვლევარ პავლე ინგოროყვას აზრით: „პოეტის გმირი, იგივე, სამოთხიდან გამოდევნილი ადამია, რომელმაც დაკარგა მსგავსება და ხატება ღვთისა, მამას დაშორდა, მატერიალურ საზრუნავებში ჩაეფლო, განსაცდელში ჩავარდა, მაგრამ უძღები შვილივით არ დაკარგა იმედი და ხსოვნაში დარჩა „მამის ხატება“. „მამაო“, „სახიერო“, „ცხოვრების წყაროვ“, „გულთამხილავო“ – ამგვარი ეპითეტები საღვთისმეტყველო ლიტერატურიდანაა. ამავე დროს, რუსთაველსა და გურამიშვილთან გვხვდება. ლექსის ლირიკულ გმირს სტანჯავს საკუთარი ცოდვების შეგრძნება და გულშემუსვრილი ევედრება მამას პატიებას: „პირველ უმანკომ თვით ადამამაც სცოდა შენს ნებას“ (ბარათაშვილი, 1954:31).

იქვე პავლე ინგოროყვა დასძენს: „ფინალში ლექსისა ჩვენ გვაქვს გამოხმაურება შავთელის „აბდულმესიანისა“. არანაკლებ საინტერესოა, რომ ამ ლექსში ჩვენ გვაქვს გამოხმაურება ძველ-ქართული ძლისპირისა „სოფლის ზღვაი აღძრულ-არს“, რომელიც ეკუთვნის მე-8-მე-9 საუკუნეთა დიდ ქართველ პოეტ-ჰიმნოგრაფს გრიგოლ ხანძთელს“ (ინგოროყვა 2007: 129).

„ლოცვად მუხლმოყრილი, იგი „ღვთისა თანა მზრახველობს“ და სწამს, რომ უფალი შეისმენს მის უხმო ვედრებას და მიუტევებს ცოდვებს, რადგან „ლოცვა, ოდეს აღტყინებულისაგან გულისა იქმნებოდეს, შეიწირვის ღმერთისა მიმართ“ (წმ. იოანე ოქროპირი)„ლოცვა არის ადამიანის სულის მისტიკური კავშირი ღმერთთან. ლოცვა უხილავი კიბეა, რომლითაც ადამიანის სული ზეცას ადის. ლოცვის სიტყვები ის სულიერი ქვებია, რომლებითაც ანგელოზნი სამუდამო სახლს აშენებენ ჩვენი

სულისათვის. ლოცვა ჩვენს გულში დათესილი ის სულიერი თესლია, რომლისგანაც შემდგომში სამოთხის ყვავილები აღმოცენდებიან“ (არქიმანდრიტი რაფაელი).

მკითხველი თითქოს თვალნათლივ ხედავს იმ უხილავ კიბეს, რომლითაც სინანულის სულიერი ზეაღსვლა ხდება. უფალთან მიახლოებით გათაქიზებული, გამწმენდილ-განსუფთავებული, იგი მთელი არსებით შესთხოვს გაანგებას, რომ მასსა და ღმერთს შორის იღუმალის კავშირი დამყარდეს.

უხილავი კიბის მეოხებით ლოცვა ღმერთთან ადის და შემოქმედსა და მის ქმნილებას შორის იღუმალის კავშირი მყარდება. „როცა ლოცვა აქედან ადის, იქიდან მადლი გადმოდის, აქედან ვედრება ადის, იქიდან ლოცვა კურთხევა გადმოდის(სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II). ცისა და მიწის გაერთიანებაც ამგვარად ხდება.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ არის მხურვალე ღაღადისი ძე შეცდომილსა, რომელიც წყდება მშობლის წიაღს, ივინყებს ზეციური მამის მცნებებს, ჭარბად იტვირთება ამსოფლიური ვნებებით, მაგრამ შემდგომ გონს მოდის, ღრმა სინანულით ივსება, საბოლოოდ განუდგება მაცდურს, მშობელს შეუვრდება და წრფელი გულით შესთხოვს პატიებას ცოდვილი ცხოვრების გამო.

ქრისტეს ყველა ადამიანის ხსნა სურს. წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის, რომ უფალს ადამიანი უფრო მეტად უყვარს, ვიდრე მთელი ხილული სამყარო. წარმოვიდგინოთ ცა და ხმელეთი, დაბლა ყვავილებითა და ბალახებით მოხატული დედამიწა, „უთვალავი ფერით შემკული“ ქვეყანა, მალა მზის ოქროსფერი ნათელი, ციური იღუმალებით მოსილი ვარსკვლავები... ყოველივე ეს არარაობაა ღვთისათვის

თუნდ ერთი ადამიანის სულთან შედარებით. ცოდვით დატვირთული ადამიანი-ძე შეცდომილი უფალა მაინც განსაკუთრებულად უყვარს და ისევე სულგრძელად, მოუთმენლად ელის მის „გაცოცხლებას“, მეორედ შობას -სინანულს, ცოდვათაგან განწმენდას, ვითარცა შვილებს შორის უძლური, ავადმყოფი ბედისაგან დასჯილი შვილი უყვარს და ებრალება მშობელს ყველაზე მეტად და ყველა ღონეს ხმარობს, რომ იგი გამოაჯამრთელოს, ფეხზე დააყენოს, ახლად დაბადების სიხარულით აღავსოს.

ზეციური მეუფის უდიდესი მონყალებისა და მიმტევებლობის უსაზღვრო რწმენითაა აღსავსე ნიკოლოზ ბარათაშვილის მსასოებელი სტრიქონები, მიმართული სახიერი უფლისადმი:

ჰოი, სახიერო, ნუ წარვიკვეთ მე სასოებას:
ჰირველ უმანკომ თვით ადამამაც სცოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება

(ბარათაშვილი, 1954:31).

ცათა მეუფის წინაშე მუხლმოდრეკილი ჰოეტის სული უაღრესად გასათუთებული, გაფაქიზებულია. იგი თითქოს გამჭირვალე გამხდარა და მკითხველი გრძნობს, რომ მას ახლა მიწიერი ფუსფუსილრიანცელი კი არა, საუკუნო, მარადიული, უფალთან დამაკავშირებელი და მის მყუდრო სადგურში დამამკვიდრებელი ძალა ენაზება. მას ახლა „სული სინწინდისაი, სიმდაბლისაი, მოთმინებისაი და სიყვარულისაი“ ენატრება და არა „საშვენი მხვედრი“ ან კუთვნილი „წილობა“, რომელიც სულსა უქმობისასა და მიმომწულილველობისასა, მთავრობის მოყვარეობისასა და ცუდადმეტყველებისასა“ გააღვივებს მასში (ეფრემ ასურის ლოცვიდან); ცხოვრების წყაროს წმინდა წყლის შესმა ეოცნებება, რათა აღარასოდეს მოსწყურდეს, ამიტომაც ჰოეტური ფორმით იმეორებს სამართიელი დედაკაცის სიტყვებს: „უფალო, მეც მე წყალი ესე, რაითა არა მწყუროდის“ (მოვიგონოთ იგავი სამართიელ დედაკაცზე, რომელსაც ქრისტე ასე მიმართავს: „რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, იქმნეს მის შორის წყარო წყლის, რომელი ვიდოდის ცხოვრებად საუკუნოდ“ (ბიბლია, 1989, იოანე 4, 14).

„ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა;
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“ (იქვე, 31).

-მიმართავს იგი ნუგეშისმცემელ, ცხოვრების მომნიჭებელ მეუფეს და სწამს, რომ უფალი უშურველად შეასმევს სულისა და ხორცის მასაზრდოებელ ცხოველმყოფელ

წყალს „წმინდათა წყალთაგან მისთა“, დააცხრობს მის დასანთქმელად აღძრულ ცოდვათა ზღვას, გულში ჩაიკრავს, ვითარცა უძღებ შვილს, რომელიც „მომკვდარი იყო და გაცოცხლდა“ და ეტყვის: „მეწამულიც რომ იყოს შენი ცოდვები, თოვლივით განვასპეტაკო, ჭიაფერივით წითელიც რომ იყოს, მატყლის ფთიალასავით ვაქციო, ნისლივით წარვხოცავ უსჯულოებათა შენთა და ღრუბელივით - ცოდვითა შენთა. დამიბუნდი, რადგან მე გამოვიწყიდე შენ“ (ბიბლია, 1989, ესაია 1, 18, 44, 22).

„ჩემი ლოცვა“ საუკეთესოდ წარმოაჩენს ავტორის ბუნებას, დარდსა და სიხარულს. „ჩემი ლოცვის“ მიხედვით, ნ. ბარათაშვილი მლოცველის, მვედრებლის სახით წარმოგვიდგება. იგი უფლის წინაშე დგას, ღმერთს ესაუბრება, გულთამხილავს, რომელიც „ყოველთავე მდაბალთა ხედავს“, რომელიც „დაფარულთა კაცთასა მეცნიერ არს და გულთა და გონებათა მოქმედებანი უწყის“ (წმ.ბასილი დიდი). პოეტი გრძნობს, რომ ღმერთთან უბნობისას „ჟამი ღუმლისა“ ბევრად უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე „ჟამი მეტყველებისა“ (ეკლესიასტე), ამიტომაც საჭიროდ არ თვლის მრავალსიტყვაობას, ფუჭმეტყველებას და უფლის ყოვლისშემძლეობის შეგრძნებით აღძრულ ამაღლებულ განცდას ღუმლით გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილმა იცის, რომ ზენაართ სამყოფის სფერო მიუნდომელია ხორციელი სმენისა და ხედვისათვის და ამის გამო „ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს“ (შემოღამება მთაწმინდაზე“), მაგრამ ისიც იცის, რომ:

„არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთა და უსულთ შორის
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის“...

(ბარათაშვილი, 1954: 60). „ჩინარი“.

ეს გახლავს ენა ღუმლისა, მეტყველი უმეტყველობა, რომელიც ბევრად უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე ნებისმიერი ორატორული მჭევრმეტყველება.

დგება ჟამი, „როცა ბრძნად მეტყველება“, რომელიც „ვერცხლი არს ფრიად“, გადაიზრდება ღუმელში, რომელიც ოქროს რჩეული“ (გ. მერჩულე). ამ დროს „ლოცვით აღტაცებული გონება კარგავს წარმართველობას და წარიმართება სულის მიერ“ (ისააკ ასური). იგი წყდება ხილულ სამყაროს და უხილავს ეზიარება. ჩერდება წამი ჩერდება დრო და იგი მარადისობის თანაზიარი ხდება, მარადისობისა, რომელშიც

უფალი სუფევს. „გონებითა ღმრთისა მიმართ აღსვლის“ მომენტი კულმინაციას აღწევს, მლოცველი, რომელიც „ღმრთის თანა მზრახველობდა“, ღუმელში იმ გრძნობას აქსოვს, რომლის გამოთქმაც „მოკვდავსა ენას არ ძალუძს“ და უფალს ესმის მისი!

ამ ლექსით საუკეთესოდ წარმოჩნდება ნიკოლოზის სათუთი ბუნება, ცოდვის შიში, დიდი ქრისტიანული განათლება, უფლის უკიდევანო სიყვარული და რწმენა. ქართულ მწერლობაში ძნელად მოიძებნება უზენაესი ძალის პირისპირ დგომით აღძრული განცდის გამომხატველი უფრო შთამბეჭდავი სტრიქონები, ვიდრე ამას „ჩემი ლოცვის“ ავტორი გვთავაზობს:

გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღმე;

შენ უწინარეს ჩემსა უწი, რას ვიზრახო მე,

და - ჩემთა ბაგეთ რალა დაუშთთ შენდა სათქმელად?

მაშა ღუმელიც მიმითვალე შენდამი ლოცვად! (იქვე, 60).

ეს არის ისეთი ლოცვა, სულის ისეთი ფაქიზი ღალადისი, როდესაც ყველაზე მეტყველი სიტყვაც კი თავის სრულყოფილ გამოხატულებას ღუმელში ჰპოვებს.

თამაზ ვასაძე ბარათაშვილის ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ანალიზისას შენიშნავს: „ბარათაშვილის პოეტური მეტყველებისა და აზროვნების ერთ-ერთი სათავე არის ფსალმუნი. წმინდა მთის მოტივიც მას ფსალმუნიდან უნდა ჰქონდეს შეთვისებული. „მთაო ცხოველო“ – საღვთო ეპითეტით მიმართავს ბარათაშვილი მთაწმინდას. და ამ „ცხოველ“, წმინდა მთაზე, საკრალურ გარემოში „შემოღამების“ ლირიკულმა გმირმა უჩვეულო რამ განიცადა – იგრძნო თავისი ნათესაობა ბეცასთან და აღეძრა „ზენაართ სამყოფთან“ შეერთების მძაფრი სურვილი, რადგან მიიღო გამოცხადება სულიერი სამშობლოდან, იხილა უსასრულო სულიერებასთან საკუთარი შინაგანი ერთიანობის დამადასტურებელი ხატება“ (ვასაძე 2010: 26).

საზოგადოდ, ქართველ რომანტიკოსებთან ხშირად გვხვდება ძველი და ახალი აღთქმისეული ალუზიები და რემინისცენციები. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანს აქვს ლექსი „ფსალმუნი“, რომელიც პოეტური გარდათქმაა 23-ე ფსალმუნისა. ამ ლექსში პოეტმა ღვთისკენ მისწრაფება განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატა:

„ვინ აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,

სადა ჰგალობენ ანგელოზნი ღვთისა ღიდებას“ (ბიბლია, 506, „ფსალმუნი 23,3:“).

ლექსის ლირიკული გმირი ამ მაღალი მთისკენ, სიმბოლურად ღვთის საუფლოსკენ მიისწრაფოდა და სჭეროდა:

„ყველა იცვალოს, ყველა მოკვდეს, დამინდეს,

და მხოლოდ წრფელი სული, წმიდა, ცხოველი,

მღვთადა აღვიდეს ნაწილაკი მღვთაებრი“ („ჩემი ეპიტაფია“).

„სიყვარული, ბუნება, მისტიციზმი, რელიგიურობა – ეს არის რომანტიკული სულის სრულყოფილი გამოვლენა. ყოველივე ამის დამაგვირგვინებელია ადამიანის სულის ურთიერთშემზრდა, ერთ მთლიან არსებად შეკავშირება. ადამიანისა და ბუნების კავშირი ტრანსტენდენციის საფუძველია, – სული ისწრაფვის მიღმა სამყაროსკენ, ამაღლებისკენ (ეკიზაშვილი 2012: 61).

მთას განსაკუთრებული დანიშნულება აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში „შემოღამება მთაწმინდაზე“ საყურადღებოა ტატოს ბუნებასთან მიმართების თვალსაზრისითაც. „სამყაროს რელიგიურ წარმოდგენებში მთა ღვთის სამყოფელად, ზეციურ ძალათა საუფლოდ მოიაზრება. იგი ცისა და მიწის შესაყარია, სადაც ღვთიური ძალების ზემოქმედება გაცილებით უფრო საგრძნობი და ცხოველმყოფელია, ვიდრე სხვა ადგილებში. ქრისტიანულ მწერლობაში მთად აღსვლა შინაგანი სინმინდის მოპოვების, სულიერი ამაღლების, ღვთაებრივთან მიახლოებისა და მასთან ზიარების სიმბოლური განსახიზვნებაა.“

ღვთივ ბოძებული „სამოსელი პირველის“ უბინობის შენარჩუნება, ზეციურ ძალთა საუფლოსთან მიახლოება და ზენაართ სამყოფის მოქალაქეობის უფლების მოპოვება არის უზენაესი მიზანი, რომელიც წმინდა მთაზე ამაღლებითა და ზეციურ სამყაროსთან მიახლოებით მიიღწევა. ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზე“ უმაღლეს სინმინდესთან ზიარების განცდით შთაგონებული ნაწარმოებია.

ბარათაშვილის ლექსი „შემოღამება მთაწმინდაზე“ თავისი ფორმით არის აღსარება და, ამასთან ერთად, იგი ინტონაციურად ლოცვასაც მოგვაგონებს რაზეც ყურადღებას ამახვილებს როზა დევდარიანი. „მთაწმინდის, როგორც წმინდა მთის, განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა ლექსის პირველსავე ტაქშია გამოკვეთილი.

„ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ!“ - მიმართავს ავტორი მამა დავითის ლოცვით ნათელმოსილ მთას და ხაზს უსვამს იმ ღვთაებრივ სინამდის, რომელიც მის სახელწოდებაშივეა გამოვლენილი. წმინდა მთაზე ზეციური მადლის დამკვიდრების ნიშანია „ცვარნი ციურნი“, რომელთა წყალობითაც მისი „ადგილნი, დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი“, ღვთაებრივი ციაგის სამკვიდროდ გარდაისახებიან (ცვარი ქრისტეს წინასახეა: მოვიგონოთ უფლის გამოცხადება გედონის წინაშე ცვრის სახით, მსაჯულთა, (6, 36-40). პირველ ტაეჰში გამოყენებული ორმაგი მიმართვა ლოცვის დასაწყისს ჰგავს. ტონალობითაც მთელი სტროფი ლოცვას მოგვაგონებს“:

„ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ,

ადგილნი შენნი

დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი,

(ბარათაშვილი,1954:12).

მთაწმინდა სევდით გულდასეტყვილი პოეტის მეგობარი, თანამგრძობი და მესაიდუმლეა. კაეშნის გასაქარვებლად იგი მუდამ მის ბილიკებს მიუყვება და უჩვეულო სიმსუბუქეს გრძობს მასთან მიახლოებით, რადგან მისი უსაზღვრო ტკივილების გაზიარების ნიშნად „ბუნდოვანი“ კლდეც სევდითა და მწუხარებითივსება .

„მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,

კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვილოდი(იქვე, 12).

ლექსის მიხედვით, მთაწმინდა გაცოცხლებული, გასულიერებულია იგი ხან მცინარია, ხან- ცრემლიანი. მისი სიახლოვე შვებით ავსებს, ვაებისაგან ათავისუფლებს მკითხველს. პოეტი გულდახურულთა მეგობარს უნოდებს მთაწმინდას და მკითხველიც ხვდება, რაოდენ დიდი თანაგრძობის უნარი გააჩნია იმ ღრუბლიან მთას, რომლის ცხოველმყოფელობის გამოსახატავადაც ავტორი ესოდენ მეტყველ, მრავლისმთქმელ, საღვთო ეპითეტს მოუხმობს:

„მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,

ვინ მოგიახლოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება

არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება,

გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!“

(ბარათაშვილი, 1954:13)

მთანმინდა თავშესაფარია, სადაც პოეტი სულიერად უნდა გადარჩეს. პირველქმნილი სინმინდე და ჰარმონია, ქალწულებრივი უბინობით დამშვენებული, ბადებს კრძალავს, მონივნებას ყოველივე იმის მიმართ, რაც ამ წმინდა ადგილის განუმეორებელ კოლორიტსა და უჩვეულო იერსახეს განსაზღვრავს (დევდარიანი 2002:32).

განსაცდელი გზაა ღვთისაკენ... გზა იმ მორწმუნისა, რომლის ამქვეყნიური ცხოვრების მთავარ მიზანს, ღვთის მცნებათა აღსრულებით, ცათა სასუფეველის მკვიდრობის ღირს-ყოფა წარმოადგენს...23.05. 2019წ (www.ambioni.ge).

„შემოღამება მთანმინდაზე“ ზეციური სამყოფლის, ზესთასოფლის ქვეყნიურ განსახოვნებად წარმოგვიდგება. მის კალთებზე გაშლილი მდელი წმინდა ტაბლაა, რომელსაც სამოთხის ყოფის სამკაულები-ყვავილები ამშვენებენ, ამ ყვავილთაგან გადმოღვრილი სურნელება კი- გუნდრუკი, რომელსაც ისინი მის საქებ-სადიდებლად აფრქვევენ. ასე იქმნება ცისა და ქვეყნის გაერთიანების წარმტაცი სურათი, რომელსაც ბუნების წიაღში ჩაფლული მგოსნის ტყვექმნილი თვალი მართლაც რომ განუმეორებელი, ამალღებული პოეტური ფერებით აღიქვამს.

ამქვეყნიურ სამყოფელში – ურწულ უდაბნოში მოხეტიალმა მწირმა მრავალი განსაცდელი უნდა გადაიტანოს, მრავალ გამოცდას უნდა გაუძლოს, რომ ქვიშის მკვდარ სამეფოს გადაურჩეს, უქრობელი ლამპრის ასანთებად საჭირო სულიერი ზეთი მოიპოვოს, ზეციურ მეუფეს შეუვრდეს, მის მიუაჩრდილებელ ნათელს მიეახლოს და მარადისობას შეუერთდეს(დევდარიანი, 2002: 51).

სანუთრო-სულიერი უდაბნო-ბოროტისა და კეთილის ჭიდილის მარადიული ასპარეზია. ნიკოლოზ ბარათაშვილის „სულო ბოროტო“ ამ ორი ძალის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების მხატვრული ანარეკლია. მოგვიანებით დანერილ (1843წ.) ამ ნაწარმოებში პოეტის მთელი ცოვრებაა შეჯამებული. გამანადგურებელი შედეგები იმ შეუსრულებია , რასაც მსხვერპლის ზრახვათა და მისწრაფებათა სრული კატასტროფა, სულიერი სიმშვიდის დაკარგვა, რწმენის დასამარება მოჰყოლია:

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმამფოთრად?

მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,

რისთვის მომიკალ ყმანვილის ბრმა სარწმუნოება?” (ბარათაშვილი, 1954:51).

„სულო ბოროტოს“ პირველივე სტრიქონებით ნიკოლოზ ბარათაშვილი მხატვრულად ნათელყოფს, რომ მისი ცდუნების მიზეზი სიყმანვილით გამოწვეული გამოუცდელობა, ბრმა მიმდობელობა, გულუბრყვილობა ყოფილა. ჩანს, ბოროტ სულს მოხერხებულად უსარგებლია მისი გამოუცდელობა, კეთილ ანგელოზად გამოცხადებია მას და ცრუ დაპირებებზე აგებული მომხიბლავი მომავლის სურათებით „გაულამაზებია“ მისი ცხოვრება.

„სულო ბოროტოს“ ლირიკული პერსონაჟის განწყობა საბოლოოდ გამოფხიზლებული, ბოროტ სულთან დაპირისპირებული ადამიანის სულიერი მდგომარეობის მხატვრული ანარეკლია.

„ხმა იღუმალში“ გამოვლენილი „ჩუმი ნალველი“ „სულო ბოროტოში“ პიროვნების დამორგუნველ, მეობის გამანადგურებელ მწუხარებაშია გადაზრდილი. მკითხველისათვის აშკარა ხდება, რომ „საშვენი მხვედრის“ ძიების გამუდმებული შთაგონებით „მტერმან, ვითარცა სრსვილმან, საძოვარი ჰპოვა“ („შუშანიკის წამება“) პოეტის არსებაში და მისი ცხოვრება გაბმულ გოდებად აქცია.

„სულო ბოროტო“ არის მხატვრული ნათელყოფა იმისა, რომ ადამიანი უსასრულოდ, გამუდმებით იმეორებს ადამის ცოდვას, რის გამოც თანდათან აცილდება პირველხატს და სულიწმინდის მაღლისაგან განძარცვული მისი არსება- ტაძარი ღვთისა- იქცევა ტაძრად ბოროტი სულისა, რომელიც „თავისუფლების“ მორევში ითრევს და საბოლოო დაღუპვას, წარწყმენდას უქადის მას(დევდარიანი, 2002: 54).

მოჩვენებითი თავისუფლების ნამდვილი არსის შეცნობით აღძრული ტკივილითაა გაჟღერებული ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვები, მიმართული ბოროტი სულისადმი:

„ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმანვილკაცობას?

თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,

ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი

და თვით ჯოჯობეთს სამოთხედა გარდამიქცევდ”

(ბარათაშვილი, 1954:51).

„სულო ბოროტოში“ ბოროტი სული ადამიანის ნების დამორგუნველად წარმოგვიდგება. ის დაუფლებია ჰოეტის არსებას, სატანური აღთქმით მოუხიბლავს იგი, მსხვერპლიც ბოლომდე მინდობია მას, როგორც „კეთილს“. „ბრმად შეუწირავს მისთვის „გულისთქმანი“ და „წრფელნი ზრახვანი“, რაც ეშმაკისათვის სისხლით დაწერილ საბედისწერო გარიგებს უთანაბრდება. ამიერიდან მსხვერპლის სულის გამოუცნობი, ჯერაც განუცდელი შფოთვა ეუფლება: იგი ეწაფება ამქვეყნიურ სიამეთ, მაგრამ დაუკმაყოფილებელი რჩება; მან იხილა „ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდები მათი“ (მოვიგონოთ უფლის გამოცდა ეშმაკის მიერ), მაგრამ შინაგანი მთლიანობა ვერ აღიდგინა, „დაუკარგა მშვიდობა სულსა და ვერც ღელვანი ვნებათანი უკვლენ წყურვილსა“ (დევდარიანი, 2002: 55).

მართლაც, ბოროტებასთან წილნაყარი ადამიანი დაცლილია, უგზოო და უმიზნოდ მოხეტიალე სულს ემსგავსება. მიზანი არ გააჩნია. „, აღარც ოცნება, აღარც სურვილი. „უსაგნოდ, მართო დაშთენილი“, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“, იგი „სუმიდეს წყლისა ამისგან და სწყუროდის კუალადცა“, ამიტომ თუ გადარჩენა სურს, უფალს უნდა მოუხმოს, ეშმაკს განუდგეს, მისი „მომჯადოები“ ძალისაგან გათავისუფლდეს და თავისი ურყევი ნება ბოროტ სულს მტკიცედ, წარბმეუხრელად გამოუცხადოს“ (დევდარიანი, 2002: 56).

ბარათაშვილის პოეზიაში გამოიკვეთება ის სახე-სიმბოლოები, რომლებიც ქრისტიანული სახისმეტყველების კონტექსტშია გასააზრებელი. ქეთევან ელაშვილი ლექს „ჩინარის“ ანალიზისას წერს: „აღვის ხის სახისმეტყველება უშუალოდ შესისხლხორცებულია ვაზის ბიბლიურ სიმბოლიკას. აქ ზედმიწევნით იგრძნობა ეს ალუზიები (თუნდაც ნასხლევისგან შექმნილი ნინოს ჯვარი...). ასევე „ვეფხისტყაოსნის“ საკრალური მუხტიც იგრძნობა. „ჰოეტი ამ შემთხვევაში შთაგონებულია „ვეფხისტყაოსნის“ ანალოგიური გამოთქმებით:

„რადგან ვარდი ამას იტყვის, უსულო და უსაკო“.

„უსაკო და უსულო, არ სიტყვიერი ცნობილი“.

აღვის ხე „ვეფხისტყაოსანში“ არის სრულყოფილი სილამაზისა და ნატიფობის სახე-სიმბოლო.

ბარათაშვილისეული „ჩინარი სიმბოლოა რაღაც ახალი, ამაღლებული, იღუმალის მეტყველების, რისი აღქმის უნარიც მის თანამედროვეთ დაკარგვიათ. ამიტომაცაა ეს დიდებული ალვის ხე განმარტოებით მდგარი („წმინდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვით კლდეზე განმარტოებით მდგარი ალვის ხე – სიცოცხლის ხეა, რომლისაგანაც შეიქმნა სამი ჯვარი...). ის ხეთამეტყველების მთელ სპექტრს ითავისებს და რომანტიკოსი პოეტის ოცნებათა შეუვალი სვეტია. და კიდევ ერთი (მტკვარი, ვითარცა მიჯნური ჩინარის...) მდინარე ხომ ცხოვრების მარადიული და უწყვეტი სვლის სიმბოლოა. ბარათაშვილის ოცნებანი წუთისოფელთან აბსოლუტური პროტესტის ფორმას როდი იძენს. ეს აუხდენელი ოცნებანი მისი ამა სოფელთან შეთვისების ერთგვარი ენაა (იგრძნობა ქრისტიანული ცნობიერების მეტყველი კვალი...)“ (ელაშვილი 2015: 230).

ბარათაშვილის ნებას, მიაღწიოს ღვთის ხატებასა და მსგავსებას შემოქმედების საშუალებით, გზად ეღობება ხორციელი ყოფა, მატერიალურ-პრაგმატული საზრუნავებით დატვირთული. ბედისწერა და განგება მის შემოქმედებაშიც ისევეა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, როგორც რუსთაველთან. რუსთაველისეული: „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“ მისირეალურ-მატერიალურ დრო-სივრცესთან ბრძოლის შთამაგონებელია: „დავმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, მაგრამ ხანდახან ჯავრით დავაპირებ ხოლმე მასთან შებმას. ან ჩემი ბედი ან ჩემი სურვილის აღსრულება“ (ბარათაშვილი 2012:65).

წუთისოფელი მთელი თავისი მრავალფეროვნებით პოეტისთვის მისაღებია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მან ამ უთვალაფერიან სამყაროში საკუთარი თავი შეიმეცნოს და აღმოაჩინოს სულიერი განვითარების დაუსაზღვრავი შესაძლებლობები. „ცისა ფერს“ გამოვლენაა იმ წყურვილისა, რომელიც დავითის ფსალმუნებშია გამოვლენილი – ღვთის წიაღში დანთქმისა და გაბნევისა:

„ფიქრი მე სანატრი
მიმინვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს“.
(ბარათაშვილი, 1954:59).

ავთანდილი ლოცვაში ღმერთს ევედრება: „მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო“. ამგვარ სურვილებთან შეჯახების ტკივილები აწერინებდა ბარათაშვილს „ხმა იღუმალსა“ და „სულო ბოროტოს“, „მერანს“. „განვედი ჩემგან. ჰოი მაცდურო, სულო ბოროტო“ შეძახილია იმ მატერიალური საზრუნავების მიმართაც, რომლებიც მის ხორციელ ყოფას ასაზრდოებდნენ, მაგრამ სულიერ განვითარებას აბრკოლებდნენ. ეს დაუსრულებელი ჭიდილი ხორცსა და სულს შორის წარმოშობდა იმ ტრაგიზმს, რომელიც ადამიანური ყოფის თანამდევია, მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით მულავნდება იმ ადამიანებთან, რომელთაც განცდილი აქვთ ღვთაებრივ კანონზომიერებათა ჭეშმარიტება.

დაბოლოს, მკვლევარი მანანა კვაჭანტირაძე აზრით, „ქართული ლიტერატურული და ხალხური ტრადიციით მერანი მფრინავი რაშია. რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟზე ამბობს: „ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“. ფრაზის პირველ ნაწილში მერანთან შედარება ცხენის („ტაიჭის“) ზღაპრულ თვისებებზე მიუთითებს, მეორეში კი მეტაფორა „მიეფინების მზე ველად“ – ვრცელდება კაცზე და ცხენზეც და სწორედ მათი ერთიანობის ესთეტიკურ ხიბლს უსვამს ხაზს, ასე რომ, მერანზე ამხედრებული კაცი ამ ლექსში, თავის კონკრეტულ სახეობრიობასთან ერთად, კონოტაციურ დონეზე კულტურულ-ეთნიკური კოდის ნაწილია“ (კვაჭანტირაძე 2013: 100).

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება წილნაყარია ძველი ქართული მწერლობასთან. ნასაზრდოებია ქრისტიანული სარწმუნოებით, რაც თავისთავად გამოიკვეთება მის პოეზიაში.

თავი III. მარტოობის განცდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში („სად განისვენოს , სულმა, სად მიიდრიკოს თავი“)

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია კაცობრიობის უნაზეს ფიქრთა და უფეხებს განცდათა მხატვრული მათიანია. მასში უდიდესი პოეტური ძალითაა ამეტყველებული ის სულიერი შფოთვა და ფორიაქი, რომლითაც წუთისოფლის ტყვეობაში მოქცეული კაცთა მოდგმა ოდითგანვე იყო მოცული. სწრაფვა პიველქმნილი სინმინდისაკენ, ლტოლვ ღვთაებრივი მშვენიერებისაკენ პოეტის ყოველ სტრიქონს ადავსებს ტკივილით, რომელიც ქვეყნად ფეხმოკიდებული უსულგულობის მძაფრი შეგრძნებითაა აღმოცენებული. ნანატრ, ოცნებით შექმნილ ქვეყანასა და რეალურადარსებულ მკაცრ სინამდვილეს შორის გაჩენილი უფსკრული არის სათავე იმ ტრაგიკულ განწყობისა, რომელიც მთელ მის შემოქმედებას გასდევს და რომელშიც ყველა თაობის მარადიული დრტვინვა-წუხილის ჭეშმარიტი მიზეზია გაცხადებული.

„სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? - მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ბარათში წამოჭრილი ეს მწვავე კითხვა ნ. ბარათაშვილის ტრაგიკული ცხოვრების ყველა ფურცელს მოიცავს. მართლაცდა, სად უნდა განესვენებინა მშვენიერისა და ამაღლებულის მაძიებელ სულს მაშინ, როცა დახვეწილ, განწმენდილ იდეალებს ფრთები შეეკვცათ და სამეუფო ტახტზე მისი უდიდებულესობა-პრავმატისტულ-მომხმარებლური აზროვნება დაბრძანდეს! „ ვინც მაღალის გრძობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია. ვისიც გონება მრწამადა ზეგარდმო ნიჭად, მას არც თუ განსჯა ჰქონია. ვისიცა ცრემლნი მეგონებოდეს ცრემლად სიბრალეულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა!“ – პოეტის ამ სიტყვებით მთელი იმდროინდელი გულფუჭი საზოგადოების მზაკვრულ-ეგოისტური მორალა შეფასებული (დევდარიანი, 2002: 3).

„ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონების და გულისათვის“-წერს ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთგან და ამ სიტყვებით აშკარად გამოხატავს თავის უარყოფით დამოკიდებულებას იმ მეშჩანაური სულისკვეთების მიმართ, რომლითაც ამ მარტოსულობისა და ეულობის მტკივნეული შეგრძნება ყველა ეპოქის დიდ

შემოქმედთა, განსაკუთრებით კი რომანტიკოსთა ცხოვრების მარადიული თანამგზავრია. მაღალი იდეალებით შთაგონებული, ყოფნა-არყოფნის „წყევლაკრულვიანი საკითხავით“ შეჭირვებული მოაზროვნენი, რომელთა ცხოვრების საზრისსაც ადამიანის დანიშნულების კაცობრიული გაგება განსაზღვრავს, ძნელად ეგუებიან ვინრო თვალსაწიერით შემოფარგლუ, სულიერ ფასეულობათაგან განძარცვულ კაცთა მორალს და, მათგან შეუცნობელნი, მათი გულციობით გულმოკლულნი, მწარედ გოდებენ ოცნებაში ნაგები ლამაზი კოშკების გაცამტვერების გამო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა „მსოფლიოს სევდის“ ნაწილია, მისი საუკეთესო შვილთა ურვის, ტკივილსა და კაემნის ანარეკლი. სასტიკი ქარი, რომელმაც მისი ოცნების ყვავილი წაბილწა, არის განსახოვნება იმ პირქუში სინამდვილისა, რომელიც ერთნაირად უწამლავდა სიცოცხლეს დანიის მჭმუნვარე პრინცსა (უ. შექსპირი „ჰამლეტი“) თუ მწუხარე სახის რაინდს (სერვანტესი, „ დონ კიხოტი“), ჩაილდ ჰაროლდსა (ჯ.ბაირონი, „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“) თუ დოქტორ ფაუსტს (გოეთე, „ფაუსტი“), დაუდგრომელ როლანდსა (არიოსტი, „დაუდგრომელი როლანდი“) თუ ჯაკომო ლეოპარდის უკვდავი ელეგიების ლირიკულ პერსონაჟებს... სახვრალი რეალობის ტლანქი მარწუხებით შემუსვრილი სილამაზის წუხარე რეექვიმად უღერენ ნ. ბარათაშვილის ღრმა სევდით გაუღენთილი სტრიქონები (დევდარიანი, 2002: 4).

დრო და ცხოვრება კი ბარათაშვილის მხოლოდ სულიერ ობლობას უწყობდა ხელს და რაც უფრო უკვირდებოდა პოეტი ცხოვრებას, მით უფრო ეძლეოდა საკუთარ თავს და მსოფლიო პესიმიზმს“ (გომართელი, 2012:162).

აი რას წერს ერთგან პოეტი: „ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი, კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრიბმა მონყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჭერებენ., მაიკო, სიცოცხლე მოძულეებია ამდენის მარტობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომრეობისა, რომელსა მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავლნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ

ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“ მაიკო ორბელიანისადმი მიმართულ ამ სტრიქონებში შეიგრძნობა რომანტიკოსის სევდიანი განწყობა.

ჩვენს რომანტიკოსებს რამდენიმე საერთო თვისება ახასიათებთ: პატრიოტული გრძნობის გულწრფელობა და სიღრმე, სიყვარულის განცდის იდეალისტური სინატიფე, რელიგიური მოკრძალება დიდი ისტორიული ნანგრევების და სასაფლაოების წინაშე, ბოლოს, ფეოდალური კულტურის შეგრძნობა არა როგორც შორეული წარსულისა, არამედ როგორც უშუალო ყოველდღიური რეალობისა.

თავის შემოქმედებაში ნიკოლოზ ბარათაშვილი შედარებით ნაკლებ დაკავშირებულია თავის გარემომცველ წრესთან და ნაკლებ ასახავს თავის გარემომცველ წრესთან და ნაკლებ ასახავს თავის თანამედროვე საზოგადოების პირობებს. მას თავისი პიროვნება რაღაც ზესაზოგადოებრივ, მეტაფიზიკურ სიმალლეზე ჰყავს აყვანილი. მას ბუნება წარმოდგენილი აქვს როგორც საიდუმლოებით აღსავსე ტაძარი, სადაც მშფოთვარე და დაღლილ სულს შეუძლია დასვენება იპოვოს მუსიკის ხმებში და საკმეველივით სურნელოვანი ყვავილების გარემოცვაში. ბოლოს, არაჩვეულებრივი გასულიერებული არიან ის ქალებიც, რომელთაც პოეტი თავის სამიჯნურო სტრიქონებს მიუძღვნის. რა უცნაური არიან ეს ქალები! საეჭვოა, რომ მათი ცოლად შერთვა ან, მით უმეტეს, საყვარლად ყოლა შეიძლებოდეს. ისინი მეტად ჰაეროვანნი, მეტად უსხეულონი ჩანან. მათ გასაოცარი ყურები და საყურეები აქვთ: შეყვარებულ ვაჟკაცს შეუძლია მათ ჩრდილში დაისვენოს, გული გაიგრილოს, უკვდავების შარბათი დალიოს, მაგრამ ბოლოს მაინც იქვე მოკვდეს. მათ ჩვეულებრივი ფეხების მაგივრად „ბუდეშურის ფეფები“ აქვთ. ესაა ვნებათა ღელვის აყვანა ცივ სფეროებში, ემპირიული სინამდვილის დანახვა ახალი და მოულოდნელი ტვალსაზრისით, ფიზიკური საგნების დემატერიალიზაცია და სულის მატერიალიზაცია. „მნამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“, - ამბობს პოეტი თავის „ჩინარში“; „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“, - ამბობს ის „ბედი ქართლისაში“ (ქიქოძე, 2009:11).

სულიერი ობლობის მწვავე განცდა მტკივნეული ინტონაციებითაა გადმოღვრილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „სული ობოლო“ მასში დახვეწილი პოეტური

ფორმითაა გამოხატული ის უკიდევანო სევდა-მწუხარება, რომლითაც სულიერად გამოფიტული საზოგადოების წიაღში გამომწყვდეული „ მაღალის გრძნობით მექონი“ აღამიანები დასაბამიდანვე იყვნენ მოცულნი ნაწარმოების ლირიკული პერსონაჟის სახით მკითხველის წინაშე დგას საყოველთაო გულცივობით შეძრწუნებული, თვისტომთა შორის უთვისტომოდ შთენილი პიროვნება, რომელსაც „ამ სავსე და ვრცელს სოფელში“ არავინ ჰყავს მესაიდუმლე, თანამლობი, მისანდობელი.

ლექსის პირველსავე სტრიქონებში გამჭვირვალედ აირეკლება უკიდევანო ნაღველი იმედდამსხვრეული, ფრთებმემუსვრილი მარტოკაცისა, რომელსაც ეულობის მძაფრი ქარიშხალი ფლეთს და ანადგურებ. მარტოდშთენილი და მიუსაფარი, იგი მწარე დრტვინავს, გულის შემძვრელად გოდებს სულიერი ობლობის წამლეკავი გრძნობის მოძალების გამო:

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,
ძნელაა პოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!
(ბარათაშვილი, 1954:29).

ნაწარმოებში სულიერი ობლობა უდედმამობის, უთვისტომობის საპირისპირო ცნებად მოიაზრება. პოეტის მიერ იგი წარმოსახულია, როგორც შემზარავი, დამთგუნველი მრუმე სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი ამოავსებს, ვერაფერი გაამშვენებებს. ლექსის კაეშნით აღსავსე სტრიქონები არის მხატვრული ნათელყოფა იმისა, რომ ნათესავ-ახლობელთაგან დაშორება თუ განშორება ტკივილს ბადებს, მაგრამ არა მოურჩენელს, რადგან მეგობრები სხვა მეგობრებმა შეიძლება შცვალონ, ნათესავების მაგოვრობაც სხვებმა შეიძლება გასწიონ, სულით ობოლს კი ძეხორციელი ვერ განკურნავს, ვერ უსაშველებს(დევდარიანი 2002:6).

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!(იქვე, 7).

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ სტრიქონებში ნ. ბარათაშვილი სრულიად არაორაზროვნად უპირისპირებს ერთმანეთს ხორციელ მოყვრობასა და სულიერ ერთობას. სულიერი ნათესაობის საწინდრად ავტორს ფიქრთა და ზრახვათა ერთობა მიაჩნია. ეს ისეთი მოყვასობაა, რომელიც ბევრად აღემატება სისხლისმიერ ნათესაობას, მით უფრო, თუ ეს უკანასკნელი სულიერ საწყისს არ ეფუძნება.

სულიერ სიახლოვეზე აღმოცენებული ნათესაობა მეტია, ვიდრე ხორციელი თვისტომობა. არ არის შემთხვევითი, რომ ამგვარი ურთიერთობის ჭეშმარიტი არსის აღსანიშნავად „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი პერსონაჟები სრულიდ განსაკუთრებულ ცნებებს იყენებენ.

„ან მოყვარე გიპოვნივარ, დისა განცდა უფრო დესი“- მიმართავს ასმათი ავთანდილს.

„მე რად გავწირო მოყვარე,ძმა, უმტკიცესი ძმობისა?“- აცხადებს ავთანდილი. სულიერი თანამზრახველობის უმაღლესი გამოვლინებაა ფორმულირებული გიორგი მერჩეულის მიერ წმ. მამათა: გრიგოლ ხანცდელის,საბა იშხენდელის ქრისტეფორესა და თეოდორეს მეგობრობის შესაბასებლად წარმოთქმულ სიტყვებში: „ ესე ოთხნი შეანანევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შეამტკიცნა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი, ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული“.

სულიერი ნათესაობის აღმატებული ბუნების აღიარება ქრისტეს მოძღვრებიდან იღებს სათავეს. როცა მაცხოვარს აუწყეს, დედა და ძმები გეძებენო, მან განაცხადა: „ ვინ არს დედაი ჩემი ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი? სულიერი თვისტომობის უპირატესობას გამოკვეთს უფალი, როცა თავის მონაფეებზე უთითებს და ამბობს: „ აჰა, დედაი ჩემი და ძმანი ჩემნი! რამეთუ, რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათა ისა, იგი არს ძმაი და დაი და დედაი ჩემი“(ბიბლია, 1989, მათე 12,48-50).

სულიერი თანამზრახველობის ესოდენ თვალშეუდგამი სიმაღლე ამსოფლიურთათვის მიუწვდომელია. მათთვის მარად პასუხგაუცემელი რჩება კითხვა: „ ვინ არს მოყუას ჩემდა“ (ბიბლია, 1989, ლუკა 10,29)მათ არ ძალუძთ შეიყვარონ მოყვასი თვისი, ვითარცა თავი თვისი, ამიტომაც სულიერების მაძიებელთ სულიერი საზრდელით ვერ აპურებენ.

სულიერებისაგან გაცლილი თვისტომობა ერთ არსად ქცევის ნაცვლა ღვთიური ნათლისაგან განძარცველ სიცარიელესა და ამ სიცარიელეში ჩასახულ გაუცხოებას აღმოაცენებს(ღევდარიანი 2002:7).

გაუცხოებს ნიადაგზეა შობილი სულიერი ობლობის ისეთი მძაფრი განცდა, როგორც „სული ობოლშია“ წარმოდგენილი „დაობლებული სული“, რომელიც „მარად ითმენს უნუგეშობას კრული“, სანუთროსეული უღმობლობით დამსხვრეული სულია, რომელიც უნდობლობას უცხადებს თვალთმაქცობისა და გაუტანლობის შემზარავ სამეუფოს და, ხელახალი გაუტანლობისა და დაუზოგაობის შიშით შეპყრობილი, გულს ვერარავის გადაუშლის, ველარავის მიენდობა. განწირულობის სამსალით გულმოშხამული, უნუგეშობის წყვდიადით გათანგული პოეტი მწარედ გოდებს „კაცთ სიავის“ საყოველთაო სენის მოძალების გამო. ამსოფლიური უსასოის მწვავე განცდითაა აღსავსე მთრთოლვარე სტრიქონები:

არლარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;

ეზინიან, იკრძალვის, არლა იცის,

ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,

ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

(ბარათაშვილი, 1954:29).

ქვეყნად ფეხმოკიდებული ცილი და ზაკვა, გაუტანლობა და სიძულვილი ბადებს ეჭვსა და უნდობლობას მსწრაფლწარმავალი, სასრული ბედნიერების მიმართ. სათნოების ნილაბათარებული უღმობლობის მსუსხავი განცდა აღმოაცენებს შიშს იმისას, რომ ზნეობრივი გადაგვარება საყოველთაო ხასიათისაა და ღიმილის მიღმა მუდამ ღალატია ჩასაფრებული, თანაგრძნობის საფარველქვეშ კი გამანაგურებელი გესლი და ცბიერება იმალება. ასე ჩნდება სანუთროსეულ სიამეთადმი გაუცხოების მწვავე შეგრძნება, რის შემდეგაც იმედგაცრუებული ადამიანის გული ამა სოფლის მაცდურ მკვიდრთა მიმართ ტკივილით ირაზება. ამიერიდან მას მიწიერი სიამენი ველარ აცდუნებენ და ისიც სულის სიღრმიდან ამომსკდარი ოხვრით გააცილებს ამქვენიური ბედნიერების მოპოვების დამსხვრეულ ოცნებებს:

ძნელი არის მართობა სულისა:
მას ელტვიან სიაშენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!(იქვე, 29).

ლექსის უაღესად ტრაგიკული ტონალობა მკითხველში ბუნებრივად ბადებს სურვილს, თვალი მიადევნოს ბარათაშვილის სულიერ ოდისეას, ბოლომდე ჩანვდეს, თუ რა მოჰყვება საწუთროსადმი ამგვარ დამოკიდებულებას: დაცემა თუ ამაღლება. ჭმუნვა, რომელიც ნაწარმოების ყოველი ტაეპიდან იღვრება, უნაპიროა, განუქარვებელი შემოუსაზღვრელი, სევდის ესოდენ მძლავრი ნიაღვარი ქმნის რეალურ საშიშროებას, რომ ლირიკული პერსონაჟი ცხოვრებაზე ხელს ჩაიქნევს, სასოს წარიკვეთს და სულიერად დასამარდება. ერთადერთი, რამაც იგი, შესაძლოა, გადაარჩინოს, ღვთისადმი რწმენა, ზეციური მეუფის იმედი და სასოებაა(ღევდარიანი 2002:8).

ადამიანს განწყობის განცდა მაშინ ეუფლება, როცა თავს ღვთისაგან მიტოვებულად იგრძნობს. რაგინდ მწვავე იყოს შეცნობა იმისა, რომ, „ვისიც სული განვითარებული გეგონა,“ უსულგულო ყოფილა, და, „ვისიც გონება გრწამდა ზეგარმო ნიჭად“, განსჯის უნარი სულ არ ჰქონია, სრულ სასონარკვეთილებას მაინც არ მიეცემი, თუ შენში ღვთისადმი რწმენის სულ მცირე ნაპერწკალი მაინც ჭიატობს.

უღმერთოდ შთენილი პიროვნება უბედურია, უმომავლო, უმწეო-უმიზნო. იგი ადვილად წარიკვეთს იმედს, ადვილად ნებდება შვიდ მომაკვდინებელ ცოდვათაგან ერთ-ერთს, მეობის დამსამარებელსა და გამანადგურებელს-სასონარკვეთილობას, რომელიც უღმობლად უხშობს ზეციური მეუფის სახიერების შესაგრძნობ სახედველს და ცხოვრებას სრულ უსასოობიდ, განწირულობის წამლეკავი განცდიტ უფორიაქებს.

უღმერთოდ დარჩენა სიცარიელეში ხეტიალს უთანაბრდება. ეს არის პირქეში სიცარიელე, რომელსაც ვერაფერი ამოავსებს, ვერაფერი გაამშვენებებს. პირველარსისაგან მოწყვეტა სავსებით აზრობს და აბერებს, ფიტავს და აჩიავებს ადამიანს, სრული არარაობის შეგრძნებით ასაპყარებს მას. ერთადერთი, რასაც ამ სიცარიელის ამოვსება შეუძლია, ოირველხატთან განწყვეტილი კავშირის აღდგენა.

ღვთისაგან განვარდნილი ადამიანი რწმენისა და ნუგეშის ერთადერთ იმედს ზეციურ მეუფეში ეძებს, ამიტომაც დღემუდამ მას მოუხმობს, მას შეჰლაღადებს: „ვიდრემდის, უფალო, დამივიწყებ მე სრულიად? ვიდრემდის გარემიიქცევ პირსა შენსა ჩემგან“ (ბიბლია, 1989, თსალმუნი 12,1). ისმინე, უფალო, ხმისა ჩემისაი, რომლითა ღაღად-ვყავ, მინყალე მე და ისმინე ჩემი“ 926,7)(ღევდარიანი 2002:9).

და უნებურად, კვლავ გვახსენდება დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრე სურისო სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო“?

უზენაესი მიზანი, რომელიც კაცთა მოდგმას სამოთხიდან განდევნის დღიდანვე ამოძრავებს, მარადიულ სამყოფელში დაბრუნება და ზეციური მამის წიაღში დამკვიდრებაა. უფლისაკენ ლტოლვა არის შემოქმედისაგან ბოძებული უდიდესი ნიჭი, რომელიც ადამიანს ამსოფლიურზე ამაღლებასა და ზესთასოფელში დამკვიდრებას შთააგონებს მისი ცხოვრების უმთავრეს საზრისსაც პირველქმნილი უბინოების აღდგენა და ღვთიური ნათლის საუფლოში დაუანება განსაზღვრავს.

ბოროტ სულს არ შესწევს უნარი იმისა, რომ დაიმორჩილოს ადამიანის თავისუფალი ნება და საკუთარი სურვილისამებრ წარმართოს მისი ცხოვრება, მაგრამ მას ძალუძს, ცოდვილი ფიქრი ჩაუნერგოს თავის მსხვერპლს და საკუთარი გონების ნაცოფად მოაჩვენოს იგი (ღევდარიანი 2002:12).

იონა მეუნარგია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას აახლოებს ბაირონის პოეზიასთან, აი რას წერს ამასთან დაკავშირებით: „კარგად რომ თარგმნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსი „სულო ბოროტო“ და ბაირონის „დონ-ჟუანში ჩაურთოს“, ან „ჩაილდ-ჰაროლდში“, არა მგონია, დიდებული პოეტის ქმნილებების ერთობა დაირღვეს, ისე მწარედ და სწორად არის გამოთქმული ამ ქმნილებებში კაცობრიობის საყვედური ბოროტი ხვედრის წინააღმდეგ“ (მეუნარგია 2010: 367).

ადამიანზე ბოროტი ძალის ზემოქმედების მტკივნეული შედეგები მაღალი პოეტური ოსტატობითაა აღბეჭდილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ხმა იდუმალი“. ლირიკული პერსონაჟის სულიერი მღელვარების მიზეზად მასში იდუმალი ხმის გულის შემამოფოტებელი ძახილი წარმოგვიდგება. ეს არის ძნელად გასაცნობიერებელი, „

საკვირველი“ ხმა, რომელიც დღემუდამ თან სდევს ჭაბუკს და მოსვენებას უკარგავს, სიცოცხლის დღეებს უწამლავს მას. პოეტის არსებაში დამკვიდრებული, მისი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრად ქცეული, იგი წუთითაც არ სცილდება მგოსანს და გაუნელებელი ტკივილით თანგავს, ჩუმი ნაღვლით მსჭვალავს მას. ლექსის დასაწყისშივე აშკარა ხდება, რომ პოეტმა არ იცის, ვის ეკუთვნის ის უცნაური ხმა, რომელიც სულს გაურკვევლობის მტანჯველი განცდით უწყლულებს და უფორიაქებს. ნაწარმოების პირველივე სტრიქონები იმ გაოცებისა და ტკივილის მაუწყებელია, რომელსაც უხილავი ხმის შეგვრძნობა იწვევს:

„ვისი ხმა არის ეს საკვირველი
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?“

(ბარათაშვილი, 2009:74).

ეს ხმა პოეტში სიყმაწვილის დღეებთან გამოთხოვებისთანავე ჩასახლებულა და მის ზრახვათა თუ საწადელთა წარმმართველ ძალად ქცეულა. ეს არის შემადრწუნებელი ხმა, რომელიც აშკარად ისმის და განიცდება, მაგრამ უჩინარია და გაურკვეველი- ვის ან რას ეკუთვნის იგი:

„რა ვსცან პირველად წუთისოფელი,
დავმთე ადგილი, სადაცა წრფელი...(იქვე, 74).

ხმა იღუმალი ჭაბუკს გამუდმებით, დაჟინებით მიმოჰყვება. ცხადად თუ სიზმრად, ძილსა თუ ღვიძილში იგი მბრძანებლური, დამრიგებლური ტონით ერთსა და იმავეს ჩასჩინებს, ერთსა და იმავეს შთააგონებს მას:

“ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვო შენი საშვენი!”(იქვე, 74).

ეს არის ძახილი მაცდური ძალისა, რომელიც შვიდი მომაკვდინებელი ვნებიდან უსაშინელესს_ამპარტავნებას აღვიძებს პოეტში და ღვთისაგან ბოძებული სიკეთით დაუკამყოფილებლობის განცდით აფორიაქებს მას. იგი საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის შეგრძნებით ალავსებს ჭაბუკს და შთაგონებს, რომ მას ამქვეყნად

სრულიად გამორჩეული პატივი და დიდება შპფერის, ის ბედი კი, რომელიც განგებმ არგუნა, სულაც არ არის მისი „ საშვენი“, მისი გამორჩეულობისა და განსაკუთრებულობის შესატყვის-შესაფერისი.

„ ხმა იდუმალის“ საერთო განწყობა, ისევე როგორც ბიძისადმი მიწერილი ბარათის სულისკვეთება, აშკარად გვაგრძობინებს, რომ „ საშვენ მხვედრში“, „ მომავლის დიდებასა“ და კუთვნილ წილობაში“ საწუთროსეული პრობლემები, პრადი ცხოვრების მოუწესრიგებლობით გამონვეული ტკივილები იგულისხმება (დევდარიანი 2002:13).

ამ სამყაროში საკუთარი ადგილის პოვნის რთულ გზაზე ნიკოლოზ ბარათაშვილს, მისივე თქმით, „იდუმალი ხმა“, ანუ რაღაც მისტიკური ძალა უთვალისწინებს სამოქმედო პროგრამას, რომლის პათოსი ძიებაა(ეგვენიძე, 2007:11).

შემოქმედმა ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლება მიანიჭა. კეთილისა და ბოროტის მარადიული ჭიდილის არენად ქცეულ დედამიწაზე ადამის ძეს ნება აქვს, საკუთარი სურვილისამებრ აირჩიოს ერთ-ერთი: ან უფალთან დამაკავშირებელი გზა ვიწრო და ძნელად სავალი, ან ეშმაკის საცდურით მოთენილი ფართო შარაგმა, ბნელეთის საუფლოში დამამკვიდრებელი.

უკეთური ძალა, რომელიც დასაბამიდანვე ემტერება ხვთის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანს, მუდამ იმას ცდილობს, ჭეშმარიტი გზიდან გადაახვევინოს თავის მსხვერპლს და საუკუნო ტანჯვა-ვაებისათვის განიროს იგი. მტერი-ეშმაკი ათასნაირი სატყუარათი ხიბლავს მას, რათა ღვთის საუფლოს მოსწყვიტოს და წუთისოფლის ამაოებას მიაჯაჭვოს იგი.

გაუნელებელი კაეშანი, სევდა, დარდი, ნალველი, რომელიც პოეტის არსებას მოიცავს, ბოროტი ძალის ზემოქმედების შედეგია და არა კეთილისა, რომელიც სულიერად აწონასწორებს, შვებას, სიმშვიდესა და სასოებას ანიჭებს ადამიანს.

მკვლევარ როზა დევდარიანის აზრით: „შინაგანი ხმის გამუდმებული ძახილი პოეტს საკუთარ სინდისში ჩაახედებს. ცოდვით დაცემული კაცობრიობის შთამომავალი სრულიად ბუნებრივად უფიქრდება კითხვას, იდუმალი ხმა, რომელიც მას აღელვებს, ხომ არ არის ხმა გაღვიძებული სინდისა, რომელიც ცოდვათა მონანიებასა და განწმენდა-განახლებას შთააგონებს?

ნ. ბარათაშვილმა კარგად უნყის, რომ ადამიანი, როგორი უმნიშვნელო ცხოვრებითაც უნდა ცხოვრობდეს იგი, სრულიად უცოდველად ვერ ივლის ტაძრისკენ მიმავალ გზაზე, პირველხატის აღსადგენად კი ცოდვათა განცდა-გასიგრძელებაც და წრფელი სინანულია საჭირო(დევდარიანი 2002:14).

„ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა
შეუწყალისა სინდისისა?“

სვამს კითხვას ავტორი, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ცოდვილის ბუნებისათვის ნიშანდობლივი ბინი და ზადი აღმოაჩინოს საკუთარ არსებაში, სინდისის ქენჯნა და ტკივილი იგრძნოს, წრფელი სინანულით აღივსოს და ცოდვათა მიტევება შესთხოვოს უფალს, თავს სრულიად უცოდველად წარმოიდგენს:

„მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა,
მისს სამფოთველოს და საქენჯნავსა“.

(ბარათაშვილი, 1981:21)

უცოდვილობის შეგრძნება, რომელიც პოეტს არსებას ბოროტი ძალის ზემოქმედებით ეუფლება, ამპარტავენების აშკარა და ხელშესახები ნაყოფია. ეს სენი ავინყებს მას, რომ ადამიანი არ შეიძლება უცოდველი იყოს იქ, სადაც ცოდვილობის განცდა არ არის, სინანული არ ჩნდება, სინანულის გარეშე კი სულიერი აღდგინება შეუძლებელია

ღვთის სამეუფოში დამკვიდრება მხოლოდ ქრისტესმიერი სიმშვიდითა და სიმდაბლით შეიძლება (დევდარიანი 2002:15).

ნაწარმოების დასვნივთს სტრიქონებში აშკარად იგრძნობა, რომ ეშმაკის შეგონებას აღმატებულობისა და უპირატესობის შესახებ პოეტის არსებაში ფესვები საკმაოდ მტკიცედ გაუდგამს.

მაგრამ ჯერ არ დამდგარა ამის უამი. უფლისაკენ მიმავალი გზის მაძიებელმა კი საბოლოოდ გამოთხიზლდა და სძლია მას, „ ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

პირველქმნილი ბუნებისაკენ ლტოლვის მოტივი პოეტური ფერებითაა აღბეჭდილი ლექსში „ ფიქრნი მტკვრის პირზედ“ რომანტიკოსი პოეტისათვის ბუნება მყუდროებისა და სიმშვიდის ნავსაყუდელია. აქ კლავაც ღვთაებრივი სინმინდე და უბინობა

სადგურობს, ამიტომაც, განმარტოებულს, ყველაზე მსწრაფლ და ყველაზე ადვილად აქ შეუძლია სულის მშვიდობის მოპოვება. კამკამა, ცის ნამთან წილნაყარი ცრემლის განმწმენდელი ძალაც აქ იგრძნობა ყველაზე მეტად:

„ნარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელიოზედ სანუგეზოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არემარე იყო მონყენით;
ნელად მოღელავს მოღუღუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.

(ბარათაშვილი, 1981:27).

ბუნების თანამგრძნობი მონყენილობა, რომელიც, როგორც ჩანს, არაერთხელ სალბუნებია ნიკოლოზ ბარათაშვილის დაწყლულებულ არსებას, წარსულში გადასახლების სურვილს ბადებს მასში მის ჩხრიალს იდაყვდაყრდნობით მიყურადებელი, ფიქრით „შორად, შორად, ცის დასავალსა' გადახვეწილი, იგი ცდილობს იმ დრო-ჟამს გადასწვდეს გონებით, როცა მისი სატრფო-ვარდი განსაცვიფრებელ სურნელს აფრქვევდა („ ბულბული ვარდზედ“), სატრფო-სუმბულს კი „ წყარო ცივი, კამკამი“ თავს ევლებოდა და სიცოცხლის ნამი გულს უგრილებდა („ სუმბული და მწირი“) ... უუშორესი, დასაბამიერი ჰარმონიის მომსწრე მტკვარი ხომ იმ ღირსსახსოვარ დღეთა მხილველიც არის, როცა საბრძოლო ნაღარის მონოდების პასუხად „ ვითა ნაღირსა მშიერი ლომი, ეკვეთენ სპარსთა ივერთ მხედარნი და მტკვარსა შეჭრთეს სისხლისა ღვარნი“, ხოლო, „ რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე, მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე, ხმაღს ხელი იკრეს მამაპაპურად და დაერივნენ თავისებურად!...“ (დევდარიანი, 2002: 18).

ამ ნაწარმოებში ბარათაშვილი ურთიერთს უპირისპირებს მარადიულ მდინარებას, მარადისობას(მტკვარი) და ამქვეყნიურ საქმეთა ამაოებას, სანუთროს დროს; კერძო საზოგადოებას და სამყაროს უსასრულობას, რომელშიც ოდესმე ჩაიძირებიან ეს „მამული“ და „შვილები“(ასათიანი, 1974:50).

გარდასულ დღეთა საამო მოგონება პოეტში ბადებს სურვილს, საერთო ენა იპოვოს მტკვართან, მასთან საუბრით გააცხოველოს წარსულის მშვენიერება და მისი ღუმლის მიღმა დაფარული „რამ საიდუმლოც“ შეუცდუმლად ამოიკითხოს:

„იდაყვ-დაყრდნობილ ყურს უვდებ მე მისა ჩხრიალსა
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?

მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!.. „(იქვე, 18).

მტკვრის უტყვი მეტყველება პოეტის ცნობიერებაში ცხადლივ აცოცხლებს წარსულის სახეს.

და ეს უსიტყვო დიალოგი ოცნებით „შორად, შორად, ცის დასავალსა“ გადასახლებულ პოეტს აქ, აღუვსებელ სანყაულად ქცეულ წუთისოფელში აბრუნებს და მის წინაშე ერთიმეორის მიყოლებით აღიმართებიან მსოფლიოს ნებისმიერი ეპოქის დიდ მოაზროვნეთათვის მტკივნეული კითვები: რატომ არის ამქვეყნიური ყოფა ესოდენ ფუჭი და ამაო? რატომ იქცა ეს სოფელი, აღუვსებელ სანყაულად?“ რატომ არიან ადამიანები ხარბ და გაუმადლარნი? რატომ არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და რატომ იღწვიან სულ მეტის და მეტის მოსახვეჭად?(დევდარიანი 2002:19.

„არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ სანყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

(ბარათაშვილი, 1981:26).

ეს არის მხატვრული განსახოვნება ამაოების ეკლესიასტესეული მოძღვრებისა, რომელიც ყველა ამქვეყნიურ სიამესა და კეთილდღეობას, აღზევებასა და წარმატებას ფუჭად, ამაოებად აცხადებს.

როზა დევდარიანის აზრით: „წუთისოფლის „აღუვსებელ სანყაულად“ აღიარებით, ერთხელ ნატვრით“ მიღებული კეთილდღეობით დაუკმაყოფილებელთა დაგმობით

ნიკოლოზ ბარათაშვილი აშკარად ემიჯნება იმ ცხოვრებისეულ ფილოსოფიას, რომელიც „საშვენი მხვედრის“, „მომავლის დიდებისა“ და „კუთვნილი წილობის“ წყურვილით აფორიაქდა, და გონებას ზოგადკაცობრიული, გლობალური, მარადიული პრობლემებისაკენ მიმართავს. ეს არის პოეტის მიერ მკვეთრად განსაზღვრული პოეზია, რომელსაც იგი ციცოცხლის ბოლომდე აღარ გადაუხედავს“ (დევდარიანი 2002:20).

აღუვსებელ საწყაულად ქცეულ ადამიანთა რიცხვში პოეტი, პირველ ყოვლისა, იმ მეფეებს მოიხსენიებს, რომლებიც განგებამ დიდების მწვერვალზე აიყვანა, მაგრამ მიღწეულით არ დაკკმაყოფილდნენ და დღენიდაგ სხვათა მიწების მისატაცებლად, სხვათა სამეფოთა ჩასანთქმელად დრტვინავენ:

„თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს

არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,

რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,

შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: «როდის იქნება,

ის სამეფოცა ჩვენი იყოს?» და აღიძვრიან

იმაგ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..” (იქვე, 20).

ბოროტების მთესველ ხელმწიფეთ პოეტი უპირისპირებს კეთილ მეფე-პატრონებს, ჭეშმარიტ მწყემსთ თავიანთი ქვეყნისას, რომლებიც დღემუდამ საწყსოს სიკეთისათვის, მისი ბედნიერი მერმისისათვის ზრუნავენ:

„თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?

მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იმისათვის იღვწიან, რომ შთამომავლობამ ისინი კეთილად მოიხსენიოს და არა წყევლა-კრულვით.

მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს

თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს

არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!“ ..(იქვე, 20).

სწორედ აქ იჩენს თავს პოეტის ცხოვრებისეული საზრისი, მოქალაქეობრივი მრწამსი: თუ ყოველივე დროებითია და ყველაფერს ბოლო უნდა მოეღოს, მაშინ რა საჭიროა

სიკეთის თესვა, „ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული“, რომელიც ძალასა და შემართებას მოითხოვს?

„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“

(ბარათაშვილი, 1981:27).

და მართლაც, „ამ კითხვის დასმით პოეტი ბენვის ხიდზე დგება მის სწორ გადაჭრაზეა დამოკიდებული, გაივლის ამ ხიდს სიჭაბუკეშივე შუაკაცობის ტვირთაკიდებული პოეტი თუ უფსკრულში ჩავარდება? ანუ: სიკეთის თესვის, ბრძოლის, ქმედების, უკეთურობის დასამარების, ძიების, შემართების, აღმშენებლობის აპოლოგეტად მოგვევლინება თუ უმოქმედობას, გულხელდაკრეფას, ინდიფერენტიზმს, მხოლოდ მოხვეჭისა და შვება-განცხრომის ფილოსოფიას შემოგვთავაზებს?

ნიკოლოზ ბარათაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ცხოვრებაზე ხელის ჩაქნევასა და განზე გადგომას კი არ შთაგვაგონებს, არამედ სწორედ სიკეთის თესვასა და სხვათა ბედნიერებაზე ზრუნვას გვიქადაგებს(დევდარიანი 2002:22).

„როცა მოვა აღსასრულის დღე, იყავ მართალი, ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტება და ერთადერთი ხსნა, რაც ჩვენს ხელთაა, სხვა ყველაფერი ამაოა, ხოლო, ვიდრე ხარ ჭაბუკი ჯან-ლონით სავსე, ვიდრე შენი სიხარული არ დალეულა, არ მოახლოებულა უამი შენი დატირებისა, გახსოვდეს ბოლო დღე და აღსასრული, რომელიც გარდაუვალია სევდით მოსილი. იყავ მზად ამ დღისათვის, დაიმარხე გულსა და სულში სიმართლე, რომელიც მხოლოდ ღვთაებრივია, რომ მის სამსჯავროს წარუდგე მართალი. სხვა ყველაფერი ამაოა და საშინელი, აუცილებლობით, ბოლო დღის გარდუვალობით“, - შთაგვაგონებს სოლომონ მეფე.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან — შვილნი სოფლისა,

უნდა კიდევცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“, -(იქვე, 22).

-გვმოძღვრავს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ეს არის საშვილიშვილო მოძღვრება, რომელიც კაცთა მოდგმას შთააგონებს სწორ გააზრებას იმ ადამიანური ვალისას, რომელიც მას უფალმა დააკისრა და რომლის გარეშეც „შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა“ შეუძლებელია. ეს არის მოძღვრება, რომელიც გვასწავლის, რომ, „თუ გული სავსეა რწმენით, სასოებით, სიყვარულით, თუ იქ ადგილი არა აქვს შურსა და ნაჭუჭში არ ჩაიკეტება, თუ მას სხვათა ტკივილის გაზიარება ჭეშმარიტი ბედნიერებით, რომელსაც დრო ვერ განაქარვეს, რადგან ასეთი გული სულიწმინდის ტაძრად იქცევა“ (სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან)(დევიდარიანი 2002:23).

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „ვპოვე ტაძარი“ ადამიანთა უგრძობლობითა და დაუნდობლობით აღსავსე საწუთრო უდაბნოდ მოიაზრება. სულიერებისაგან დაცლილი, გულცივობით, უსიყვარულობით, გაუდაბურებული ქვეყანა მასში წარმოსახულია სიცარიელისა და უკაცურობის სამფლობელოდ, სადაც მხოლოდ ქვიშისფერი ერთფეროვნება მეუფეობს.

სინძინდისა და სისპეტაკის მაძიებელი პოეტი, რომლის მეოცნებე ხედვაც „შორად, შორად, ცის დასავალსა“ იყო მიპყრობილი, კაცთა საცხოვრისს აღიქვამს ზნეობრივ უდაბნოდ, სადაც ქრისტესმიერ სიყვარულსა და სათნოებას შემზარავი თვალთმაქცობა და ცბიერება აფერმკთალებს. მას არ შეუძლია, „ბოროტებისა და და სიცრუის“ საბრძანისში მოიპოვოს სულიერი საზრდელი, ამიტომაც თვისტომთა შორის თავს გრძობს მოხეტიალე ყარიბად, რომელსაც ვერსად უპოვია „სადგური მყუდროებისა“. მგოსანი პირველქმნილ სინძინდეს ეძებს, რათა „ხმად მღალადებლისად“ არ დარჩეს გულის სიღრმიდან აღმომსკდარი კითხვა: სად განისვენოს სულმა? სად მიიღრიკოს თავი?“

იღუმალეებით მოცული უდაბნო პოეტისათვის არის მწარე რეალობა, რომელიც სიყვარულმა, სინძინდემ, სისპეტაკემ, სათნოებამ უნდა გაამშვენებინოს. ამ მშვენებების სათავეს იგი ტაძარში ჰპოვებს. ტაძარი არის „ცა ქვეყანასა ზედა, რომელსა შინა(დევიდარიანი 2002:25).

დამკვიდრებულ არს ცათა შინა მყოფი ღმერთი“ („დიდი კურთხევანი“) იგი „სამკვიდრებელ უფლისა არს“. მასში „რა შევალთ, ცად შევალთ“, ამიტომაც

„შესაძლებელ არს ქვეყანასა ზედა ყოფნითა ცათა შინა ყოფა და მათთა სიკეთეთა განცდა“ (იოანე ოქროპირი).

ღვთის სახლის პოვნა ნიკოლოზ ბარათაშვილს „ცათა შინა ყოფნისა“ და „მათთა სიკეთეთა განცდის“ სიხარულს ანიჭებს. ტაძარი, რომელშიც ადამიანთა გულფუჭობით სიცოცხლე გამწარებული პოეტის სულის ნავსაყუდელს ჰპოვებს, ზეციური ნათლით გაშუქებული საყდარია, რომელსაც სულიწმინდის მადლი აცისკროვნებს. ეს არის სინწმინდის სადგური, სადაც მხოლოდ უხინჯო სიყვარული, აუმღვრეველი სიკეთე და შეუბღალავი სათნოება სუფევს. დავითის ქნარის იღუმალი უღერა და ციურ დასთა ამოგალობა საღბუნად ედება პოეტის დანყლულეულ სულს და მალლა, დროისა და სივრცის საზღვრებს მიღმა იტაცებს მას. დგება დიადი წამი, როცა ზეციური იერარქთა „გალობის ზარი“ ღვთის მაძიებელი სულის უზენაეს სიმებს შეათრთოლებს, ერთ მძლავრ ნაკადად გამთლიანდება და უფლის სადიდებელ უკვდავ ჰიმნად იქცევა:

„ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;

მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.

ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,

და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!” (ბარათაშვილი, 1981:52).

წმინდა ლამპარი, რომელიც უდაბნოდ მდგარ წარმოსახულ ტაძარში ანთია, როგორც მარადიული სიყვარულის სახე-სიმბოლო, ღვთაებისაკენ, ზენაართ სამყოფისაკენ მიმავალი გზის მანათობელია.

მწირი სოფლისა, სანუთროსეული საზრუნავით დამაშვრალი და „მიქანცებული“, ლამაზ ოცნებათა გაცხადების, სულიერი აღდგინების უშრეტ ოაზისს ტაძარში ჰპოვებს. აქ არ ბობოქრობს „კაცთ სიავე და ბედის ზრუნვა“, აქ არ გაისმის გესლიანი ქირქილი, „დამარხეო მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა“... აქ ბნელის მეუფებას ცისა და ქვეყნის შემოქმედის თვალშეუდგამი ნათელი ასამარებს, გულფუჭობის მსუსხავ სიცივეს სულიერი მზის დაუშრეტელი სითბო განაქარავებს, მშვენიერების დამზრალ ყვავილებს ცით მოვლენილი სხივის უქრობი შარავანდედი აცოცხლებს. აქ წარმავალზე ფიქრს მარადიულით სასოება გადაჰფარავს, ამიტომაც სული აღმაფრენის წრფელი სიხარულითა და მომავლის ნატარი მოლოდინით ივსება (დევედარიანი 2002:26).

„ მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმითვობდა ციურის სხივით!”(იქვე, 52).

უღიადესი მსხვერპლი, რომელიც პოეტს შეუძლია უფალს შესწიროს, ამაღლებული, ღვთით ბოძებული სიყვარულია. ამ სიყვარულის საკუროთხეველზე მიაქვს მას სული და გული, ე.ი. ყველაფერი, რაც კი გააჩნია, რაც კი მის ამქვეყნიურ მყოფობასა და საუკუნო არსებობას განსაზღვრავს:

„ მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკუროთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მეგონა, ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!”(იქვე, 53).

მაგრამ უდაბნოდ ქცეულ ქვეყანაზე საყდრის სინმინდეს საწუთროსეული სიავე და ბინიერება ბღალავს, ტაძრის სილამაზეს ცრუ და მუხთალი სოფლის ორომტრიალი შთანთქვას. ტაძარი უჩინრდება, მის ადგილზე კი გადაიჭიმება პირქეში უდაბნო, რომელიც პოეტს ახალ-ახალ ტკივილებს, სევდასა და ნაღველს განუმზადებს. ამიერიდან მან ტანჯვით ვაებით უნდა განვლოს „უდაბნო დიდი და საშინელი“ (II სჯული), „რამეთუ სახლი მამათა ჩუენთა უდაბნო არს და ბჭენი მისნი განრყუნულ არიან“ (II ეზრა).

„მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განქრა ტაძარი — და უდაბნო ჩემდა მღუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
მის ნაცვლად სევდა და წყვლიადი დაისადგურებს!”(იქვე, 54).

„რატომ მოისპო ყარიბი მგოსნის თავშესაფარი, რატომ გაცამტვერდა მისი უკანასკნელი იმედი? ნუთუ წუთიერმა, ამსოფლიურმა („დრომან“) სძლია მარადიულს („უქრობელს“) და ამიტომაც „მოსპო მისი ნაშთი და მისი კვალი“? არა, ამბობს პოეტი. - უბრალოდ, სულიერებისა და ღვთიურობისაგან დაცლილ ამცრუ და მუხთალ წუთისოფელში მისი ადგილი არ არის და ქვეყნად მისგან მხოლოდ დამქრალი

ცეცხლი რჩება(დევდარიანი 2002:27). ტაძრის გაუჩინარებასთან ერთად ქრება „ზენაართ სამყოფთან“ შერწყმის უკანასკნეკლი იმედი და პოეტი გოდებს ამ ხვედრის გამო:

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი, —
არა! მოსდაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!

დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!(იქვე, 54).

„რატომ ჩაუქრა ლამპარი ლექსის ლირიკულ პერსონაჟს? იქნებ იმიტომ, რომ მეტისმეტად დატვირთული იყო წუთისოფლის საზრუნავით? აკი თავის თავს თავადვე უნოდებს „დამაშვრალს მისითა (საწუთროს) ლელვით!“ მაშინ მას სიმშვიდე დაუკარგავს. იქნებ, „კაცთ სიავით“ გულმოკლულმა, ვერ შეძლო მოძულეთა და გაჩრვებულთათვის ელოცა? მაშინ შეწყნარებაი“ დაჰკლებია! ...

და მართლაც, „იქნებ პოეტი, ტაძარში ღთიური მადლის მისაღებად შესული, ეშმაკმა (ხმამ იღუმალმა) ისითი დიდებული გრძობით მოხიბლა, რომ ეს აღმაფრენა სულიწმინდის ძალის მოქმედება, ღვთივბოძებულ განცდად მოაჩვენა? იქნებ ზეციური ხმებიც ამიტომ შეესმა და თავი საწუთროსივე ზესთასოფლის მკვიდრად ამიტომ წარმოიდგინა?

...და, იქნებ, რაკი ეგონა, რომ ხედავდა „სასუფეველს აქდაშენებულს“, დაავინცდა ტაძარში შესვლის უმთავრესი მიზანი- სინანული?(დევდარიანი 2002:28-29).

ლექსის ბოლო სტრიქონებში მკითხველის წინაშე დგას უკიდევანო ტკივილებით მოცული პოეტი, რომელიც გოდებდა სულიერი ლამპრის დაშრეტის გამო:

ვერლა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსათარი! (იქვე, 54).

პოეტი ჩაფიქრებულია, ეძიებს და ვერ ჰპოვებს... ანუხებს უხილავი ხმა, ჩასძახის დღენიადაგ:

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?

რად აქვს გულს ესე ჩუმი ნალველი?“

ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი(ბარათაშვილი, 1954:15).

ამრიგად, ლექსისი ბოლოს თითქოსდა გამოიკვეთება უხილავი სახე, რამეთუ უიმედო, სასონარკვეთილ პოეტთან იყო მეორე ბარათაშვილი, რომელსაც ბევრი ვერ ხედავდა. ლირიული პერსონაჟს სევდით აღსავსეს, სულით დაობლებულს დემონი მის გენიას, იდუმალის ხმით სხვა მსოფლიოსკენ მიუხმობდა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, სძლია მავანს და ჭეშმარიტებას ეზიარა.

თავი IV. რამდენიმე საკითხის გააზრებისთვის ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილების მიხედვით

საქართველოში, არც ერთი ქართველი რომანტიკოსის სახელი და შემოქმედება არ გამხდარა ჩვენში ისეთი მომხიბვლელი და ამავე დროს საკმაოდ მაცდუნებელი ლიტერატურული ასოციაციების წყარო, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი პოეზია (აბაშიძე, 1963: 64). ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ მიგვანიშნა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის ევროპულ მასშტაბებზე, როცა ბაირონისა და გოეთეს სახელთა გარემოცვაში მოაქცია იგი. ამ დროიდან მოყოლებული, ვიდრე დღემდე, კი არ შენელებულა, არამეს უფრო და უფრო გაძლიერდა ინტერესი ნ. ბარათაშვილის პოეტური სამყაროს დასაახლოებლად ცნობილ ევროპულ რომანტიკოსებთან და იმ პრობლემათიკასთან, რასაც ეს პოეტები ეჭვობდნენ. ამ მიმართულებით გაშლილმა ძიებამ საბაბი მისცა კრიტიკოსებს ემსჯელათ ბაირონიზმისა და რუსოიზმის შესახებ ქართულ მწერლობაში (ნადირაძე, 1961:102-125).

როგორც პოეტის პოეზიის პნაკარედებია ღირებული ქართველი საზოგადოებისთვის, ასევე მისი წერილებია გამორჩეული. მისი საშუალებით უფრო ახლოს ვეცნობით გენიოსის პიროვნებას, მისი ცხოვრების დეტალებს წერილებიდან ვგებულობთ თუ რას გრძნობდა და განიცდიდა მარტოსული პოეტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილები კიდევ უფრო აართობს ჩვენს წარმოდგენას ამ დიდი მგოსნის აზროვნების სიღრმესა და გრძნობათა სიფაქიზებზე, „მათი სევდიანი ტონი, რომელიც თავისი ხარისხით მეტოქეობას უწევს მისსავე პოეტურ შედეგებს პირადი განცდილი სიყვარულითაც შეიძლება იყოს ნაკარნახევი. ისიც შესაძლოა, რომ გულგატეხილობის ნიშანთა შემცველი მარტოობის გრძნობა, რომელიც მის წერილებსა და ლექსებშია გამოვლენილი, ზოგიერთი ამხანაგ-მეგობრის საქციელმა გააღრმავა მაგრამ ჩვენ საამისო უტყუარი ფაქტები მაინც არ მოგვეპოვება“ (კიკნაძე, 1972:5).

აი რას წერდა ერთგან პოეტი: „მე, სწორედ გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზნოდ, უანგარიშოდ, ისე მეც, არ მოველოდი... მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი... არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე

მამძულეებია ამდენის მარტოობით“...პოეტი სევდანარევი კილოთი ამთავრებს სათქმელს: „შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდე ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალეულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. აი, უკანასკნელი აღსარებაც: „დაიმარხე მშვენიერებასა სულისა, უმანკოება გულისა, აი ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისგან...“ (ინგოროყვა, 2009:74).

თავისი მარტოობის ერთდადერთი მესაიდუმლე მაიკო ორბელიანია, რომელსაც ხშირად ამცნობდა გულის დარდებს. მოხსენებულ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი შემდეგ წერს მაიკოს: „კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელ ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდე ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალეულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?. მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემიბრალებს მაშინ

შემიბრალებ. ყმანვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და, ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა:

მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

(ბარათაშვილი, 1981:131).

ვის გულისხმობს ამ წერილში? წერილი, როგორც ირკვევა, ეხება ეკატერინეს. პოეტი აქ, კერძოდ, იგონებს ეკატერინესთან გამოთხოვების იმ ღირსახსოვარ სცენას, როდესაც მწუხარებით შეპყრობილი ეკატერინე ცრემლებსა ღვრიდა, ხოლო სიტყვებით ვერ ახერხებდა გაემუღავნებინა სამწუხარო საიდუმლო მათი მომავალი განშორებისა. პოეტისათვის უძვირფასესი მოსაგონარი იყო ეს პათეტიკური სცენა და მას არაერთგზის უმღერა პოეტმა თავის ლირიკულ ლექსებში.

და პოეტი, მაიკოსადმი მიმართულ წერილში, თვითვე არღვევს შეუბრალებლად ამ რომანტიულ მოგონებას სატრფოს „სიბრალოლის ცრემლთა“ შესახები(ინგოროყვა, 2009:80,81).

ერთობ საინტერესოა გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილი, რომელიც არა მარტო შინაარსით, არამედ ისტორიული სინამდვილითაა მნიშვნელოვანი. მასში დეტალურადაა გადმოცემული ყველა ის მიზეზი, რატომაც გრძნობდა გენიოსი პოეტი თავს უბედურად: „საყვარელო ძიავ! გთხოვთ მომიტევეთ ესდენს ხანს ჩემგან მოუწერლობა; ეს გარემოების ბრალია; ხან არ ვიცოდი ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი სამსახურისა გამო და ამაობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმე, როდესაც მანდაური ფოჩტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომიტევებ.

აგერ წელიწად-ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სულაირასპრავაში. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოვედი. მაგრამ უნდ აღვიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს, და არც მერმე, ვიდრე სამსახურში

შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენდა ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ, რალამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ, კოჭლი ხარო, და, თუ არ ინვალიდის კომენდაში, სხვაგან არ მოგიღებენო, მაშინ როდესაც ფერხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე რომ, ჩემებურად კიდევ ვჭბტი და კიდევ ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ, თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო მამაც ამ ღროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილი, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, შენს სახლს არ უპატრონებო!“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემენახებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას...(წერილები 2005:6).

მისი წერილებიდან ვგებულობთ თუ რა ნაღველს იტევდა უიმედო პოეტის სული, თუმცა ხანდახან ბავშვივით გახარებულია და „შეჭხარის ცასა და დედამიწას“-„, ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს. მე, სწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ ღროს აქ ყოფილიყავ...“ თუმცა, ეს ყველაფერი ერთი შეხედვითაა, მის სულში კი არა და არ გამოიღარა- „მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეებია ამდენის მარტოობით.

ოხვრა არის შვება უბედურისა!“ შენ წარმოიდგინე მაიკო სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო

ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრაღისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის სანამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლავარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული... შენი მარად ერთგული ძმა, ნიკოლოზ ბარათშვილი“ უბადო, უმნიკვლო ბუნების მგოსანი, გარეგნულად მხიარული. გულის სიღრმეში კი უდიდესი დარდის მატარებელი იყო(წერილები 2005:15).

მნიშვნელოვანია, ისტორიული თვალსაზრისით, წერილი გრილზე მიწერილი, სადაც ისტორიული სიზუსტით აღწერს მაშინდელ საქართველოს მდგომარეობას. საყვარელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან! ეს ამბავი აღრევე მინდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმბელები შეინახავდენ დამშვიდებამდე. По официальному донесению фезе 4 известно только то, что адъютанты его, князь Орбелиани, 20-го марта был послан в Андалал 5 с поручением и его взяли там в плен. ხოლო ლუკამ, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაჭერაში, აი რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი 6 და ყაზიყუმბის ხანი დაჭერილები ყოფილან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილი. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დანკეპილი ყმანვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ ხანისგან გამოტანებულები; შამილს ოცისავესთვის ილიას თვალით წინ თავები დაუყრევინებია; ახტელელები კი, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებულია თურმე და ასე უწყალოდ იმითომ მოჰქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისთვის: “შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენია შენს ხელში ყოფნას!“ ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ, ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის

გვარისშვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი ოფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის_ილიას და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნუ რა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მომცემსო. ახლა ილიკო დარღობია, სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გასინჯე, გოლოვინის ცოლმაც კი თქვა, რომ: მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასო. მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა он теперь предметом разных анекдотов.* ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა.

вот, что поэт думает за Илико

არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე(დევდარიანი 2002:12) რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და,რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა**. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე მივანოდო. ვიცი, გულში ჩაიციინებს და არ იქნება, მით არა ენუგეშოს რა.

ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის ადგილს; იასეც იქ არის ელისოს მილიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას, მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახლა, როდესაც შამილ ჯერ არსად ომობს და ილიაც თავის სახლში ჰყავს. ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა დამწუხარებით, თვითონ იცი, ვერას ვუშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამომხსნისათვის.

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ, პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას. მინისტრს შვიდს მაისს მოველით ერევაწმედ. სხვებრ ჩვენნიანები ყველანი კა

რგად არიან, მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვანუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა(დევდარიანი 2002:13).

პოეტის წერილები ერთობ მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს შეიცავს. პოეტი დეტალურად გადმოგვცემს მე-19 საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რაც ერთობ ღირებულია საქართველოს ისტორიის თვალნათლივ გააზრებისთვის.

წერილების სიტყვიერი მასალა აღბეჭდილია ზომიერად შერჩეული არქაული ნიუანსებით, რაც მის მეტყველებას ორგანულად აკავშირებს ძველ ქართულ მწერლობასთან.

ძირითადი დასკვნა

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების უკვდავი ტაეპები. პოეტის თავისუფლებას ყოველთვის, სულის წიაღიდან წამოსული თავისუფლება ასულდგმულებდა. მისი ყოველი სიტყვა და მოქმედება შინაგანი თავისუფლების კანონებს ეფუძნებოდა. იგი გასცდა ადამიანურ საზღვრებს და სიცოცხლეშივე მარადისობაში გადაითქვიფა.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება სიღმისეულად სწვდება ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. მასში წარმოჩენილია, მარტოსულობის განცდა, ცხოვრების მისტიური (თავისებური) აღქმა, ლირიკული განცდები, ერისა და ქვეყნის ბრძოლა თავისუფლებისა და გზა ხსნისა, გადარჩენისთვის და ა. შ. სადაც პოეტი თითქოს სწვდება ამქვეყნიურ სამყაროს ამოებას და ამავდროულად ეზიარება ზეციურ, მიღმიურ სასუფეველს.

მნიკოლოზ ბარათაშვილისათვის დამახასიათებელია პოეტური მეტყველების ლაკონიურობა და სურათოვნება. თხრობის ლირიკული ფორმა უშუალობითა და სინატიფით არის გაცისკროვნებული. მისი პოეზიის სახარებისეული სახე-სიმბოლოები, ლექსიკური თავისებურებანი, ისტორიული დასურთხატება ყოველთვის იქცევდა და იქცევს ყურადღებას, მაგრამ ცალკე შესწავლის საგანი ამ ფორმით არ გამხდარა,

არადა ძალიან საინტერესოა მის პოეზიაში სიტყვათა მიმოქცევის თავისებურება, შერჩევის ტენდენცია და რაც მთავარია მისი ისტორიზმის პრინციპები.

აღსანიშნავია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი საჭიროებს ღრმა მეცნიერულ-პოეტურ ანალიზს, რადგან აქ ერთი ადამიანის დარდი და ტკივილი კი არა, ქართველი ერის ტკივილი და სადარდებელია. სწორედ, ამითაა მისი შემოქმედება უჩვეულო და ამოუცნობი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის პოეტი იყო, რომელიც განსხვავდებოდა ყველა დანარჩენი რომანტიკოსისაგან. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა წმინდა პოეტური ნიჭისა და წმინდა შთაგონების შემოქმედად. მისი წინამძღოლი მხოლოდ და მხოლოდ რწმენა და პატრიოტიზმი იყო. შთაგონებით განვლო მთელმა მისმა ტანჯულმა ცხოვრებამ და თავისი არამიწიერი ლექსებით სამუდამოდ დაიმკვიდრა უკვდავი პოეტის სახელი მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის გამორჩენილ პოეტთა შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ასათიანი, 1974:** ასათიანი გურამ, „ვეფხისტყაოსნიდან“ „ბახტრიონამდე“. თბ.,
2. **აბზიანიძე, 1955:** აბზიანიძე გიორგი, „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, გამომც. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“, თბ.,
3. **ბარათაშვილი, 2005:** ბარათაშვილი ნიკოლოზ, წერილები, გამომც. „ხელოვანი“, რევაზ დანელიას რედაქტორობით, თბ.,
4. **ბარათაშვილი, 1945:** ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი. გამომც. „სახელმწიფო“, თბ.,
5. **ბარათაშვილი, 2012:** ბარათაშვილი ნიკოლოზ, ერთტომეული, ჩემი რჩეული, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბ.,
6. **ბარათაშვილი, 2009:** ბარათაშვილი ნიკოლოზ, „XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა“, ბაჩანა ბრეგვაძის რედაქტორობით, გამომც. სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბ.,
7. **ბარათაშვილი, 2004:** ბარათაშვილი ნიკოლოზ, „ქრესტომათიული კრიტიკა XIX საუკუნე“, ალდა ქარსელაძის რედაქტორობით, გამომც. „წყაროსთავი“, თბ.,
8. **ბარათაშვილი, 1981:** ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.,
9. **ბარათაშვილი, 1954:** ბარათაშვილი ნიკოლოზ, თხზულებანი. გამომც. „საბჭოთა მწერლობა“, თბ.,
10. **ბიბლია, 1989:** ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა თბ.,
11. **განერელია, 1947:** განერელია აკაკი, ბარათაშვილი ნიკოლოზ, (მონოგრაფია). „სახელმწიფო გამომცემლობა“ თბ.,
12. **გომართელი, 2012:** გომართელი ივანე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, წიგნში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, ჩემი რჩეული, გამომც. „პალიტრა L“, თბ.,
13. **ღევდარიანი, 2002:** ღევდარიანი როზა, „ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება“, გამომც. „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბ.,

14. **ელიოტი, 2010:** ელიოტი თომას სტერნზ, „ტრადიცია და ინდივიდუალური ტალანტი“, წიგნიდან - ლიტერატურის თეორია, II, გამომცემლობა „ლიტერატურის ინსტიტუტი“, თბ.,
15. **ელაშვილი 2015:** ელაშვილი ქეთევან, სიმბოლო ქართულ და ევროპულ რომანტიზმში, წიგნიდან – ქართული რომანტიზმი-ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი 2012წ
16. **ევგენიძე, 2013:** იუზა ევგენიძე, „კრებული-ქართული ლიტერატურა“, გამომც. „საქართველოს მაცნე“
17. **ევგენიძე, 2007:** იუზა ევგენიძე, ბარათაშვილი ნიკოლოზ, „მწიგნობარი“, ნოდარ ტაბიძის რედაქტორობით, გამომც. „საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია“, თბ.,
18. **ეკიზაშვილი 2015:** ეკიზაშვილი გიორგი, ევროპული რომანტიზმისპანორამა,წიგნი: ქართული რომანტიზმი-ნაციონალური და ინტერნაციონალური საზღვრები, თბილისი 2012
19. **ინგოროყვა, 1922:** ინგოროყვა პავლე, ნიკოლოზ ბარათაშვილი (ბიოგრაფიული ნარკვევი) ტფ.,
20. **ინგოროყვა, 1975:** ინგოროყვა პავლე, „ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.,
21. **ინგოროყვა, 2007:** ინგოროყვა პავლე, წიგნი „ქართველი მწერლები სკოლაში“, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“. თბ.,
22. **ილია II, 1997:** სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი. ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, I, II,
23. **ილია II, 2017:** ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. „სხვა საქართველო სად არის..“, წიგნი მეორე, გამომცემლობა „ქართული“, თბ.,
24. **ვასაძე 2010:** ვასაძე თამაზ, ლიტერატურა ჭეშმარიტების ძიებაში, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ.,
25. **კაკაბაძე 1983:** კაკაბაძე მანანა, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები , გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ.,

26. **კვაჭანტირაძე 2013:** კვაჭანტირაძე მ, ვექტორები, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ.,
27. **კიკნაძე, 1972:** კიკნაძე გრიგოლ, ნიკოლოზ ბარათაშვილი, წიგნში: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ.,
28. **კოტეტიშვილი, 1959:** კოტეტიშვილი ვახტანგ, „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (XIXს.) თბ.,
29. **ლომიძე 2014:** ლომიძე თამარ, „ქართული რომანტიზმის პოეტიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.,
30. **მეუნარგია, 2010:** მეუნარგია იონა, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბ.,
31. **ნადირაძე, 1961:** ნადირაძე გ., ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო, გამ. „საქართველო“, თბ.
32. **სურგულაძე, 1968:** სურგულაძე აკაკი, ბარათაშვილი ნიკოლოზ, (ისტორიული ნარკვევი), გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ.,
33. **ჩიქოვანი 1963:** ჩიქოვანი სიმონ, „რჩეული ნაწერები“, თბ.,
34. **წონონავა , 2009:** წონონავა თენგიზ, ბარათაშვილი ნიკოლოზ, „ლიტერატურული ნაწარმოებები სკოლაში“ გამომც. „საავტორო“
35. <https://burusi.wordpress.com/2010/11/26/nikoloz-baratashvili-21/>
36. www.ambioni.ge